კავკასია და ოთხთა კავშირი 1918 წელს: ბალერთიანების ელიტარული მცდელობები*

გიორგი მამულია

შესავალი

1918 წელმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კავკასიის ხალხების ისტორიაში. რუსული იმპერიის შემადგენლობაში არსებობის პროვინციული ფაზიდან გამოსვლისას კავკასია მღელვარე საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაება, რამაც რეგიონის ხალხებს დამოუკიდებელი სახელმწიფოების შენების შესაძლებლობა მისცა.

მიუხედავად საკმაოდ მდიდარი ისტორიული ლიტერატურისა, რომელიც მიძღვნილია 1918 წელს შექმნილი კავკასიის სახელმწიფოებისადმი (Уратадзе 1956, Suny 1994, Hovannisian 1967, Świetochowski 1985), ამ საკითხის ისტორიოგრაფიას ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს. კერძოდ, კავკასიური სახელმწიფოების გაჩენის პრობლემას ის შეისწავლის ვიწრო ნაციონალურ კონტექსტში და არ ითვალისწინებს ფაქტს, რომ რეგიონით დაინტერესებული იმუამინდელი დიდი სახელმწიფოები კავკასიას ერთიანობაში განიხილავდნენ. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ბოლო 20 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის სახელმწიფოებში გამოცემულ კვლევებში (Мустафа-заде 2006, Гасанлы 2011).

ბევრად უკეთესი მდგომარეობაა დასავლურ ისტორიოგრაფიაში, სადაც გასული საუკუნის 50-70-იან წლებში გამოიცა მონოგრაფიები, რომლებიც მოიცავდა, თუ მთელ კავკასიას არა, ყოველ შემთხვევაში მის სამხრეთ ნაწილს მაინც (Kazemzadeh 1951, Zürrer 1978). გამონაკლისს ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ვ. ბილის გამოკვლევა, ისევე როგორც ვ. ალენის და პ. მურატოვის კლასიკური ნაშრომი, რომელიც, სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით, ფარავს როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიას (Bihl 1992, Allen, P. Muratoff 1953, S. Afanasyan 1981).

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს იმ ინტეგრაციული პროექტების კვლევას, რომლებიც მოცემულ პერიოდში იქმნებოდა როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების მიერ; კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნაში გერმანული და თურქული ფაქტორების როლის გაანალიზებას; ჩვენებას, თუ რამდენად იყენებდა კავკასიური ელიტა რეგიონში გერმანულ-თურქულ-ბოლშევიკურ ურთიერთდაპირისპირებას; ნავთობის ფაქტორის როლის წარმოჩენას სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნის საქმეში.

---

* წინამდებარე სტატიის ძირითადი ტექსტი პირველად გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 2013 წელს, ვარშავაში გამომავალ პოლონურ ჟურნალ «ახალ პრომეთეოსში» (“Nowy Prometeusz”). ამისდა მიუხედავად, ამ კვლევაში გამოყენებული დღემდე უცნობი საარქივო მასალა და ზოგადად თემატიკაც იმდენად აქტუალურად და საინტერესოდ მოგვეჩვენა ქართული აუდიტორიისთვის, რომ სიამოვნებით ვთავაზობთ „ისტორიის რეკონსტრუქციების“ მკითხველს ავტორის მიერ საგანგებოდ ჩვენი ჟურნალისთვის გადამუშავებული ხსენებული ნაშრომის ქართულ ვერსიას.

კავკასიის ხალხთა პოლიტიკური კონსოლიდაციის პირველი მცდელობები

1917 წელს კავკასიის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობები ხარისხობრივად ახალ სტადიაში შევიდა. თებერვლის რევოლუციამ, რასაც რუსეთში მონარქიის დამხობა მოჰყვა, იმპერიის მარწუხები საკმაოდ შეასუსტა. ხელისუფლებაში მოსული ა. კერენსკის დროებითი მთავრობა, მთლიანობაში, რუსული სახელმწიფოს ფედერალური მოწყობისკენ იხრებოდა. აღნიშნულმა მოვლენებმა პირდაპირი გავლენა იქონია როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე.

1917 წლის მაისში ვლადიკავკაზში ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის გაერთიანებულ მთიელთა კავშირის პირველი ყრილობა შედგა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა რეგიონის ყველა მთიელ ხალხთა წარმომადგენელი. იქიდან გამომდინარე, რომ მოცემულ სიტუაციაში ჩრდილოეთ კავკასიის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნა შეუძლებელი იყო, ყრილობამ თანადგომა გამოუცხადა დროებითი მთავრობის ღონისძიებებს და ამასთან ერთად ხაზი გაუსვა თებერვლის რევოლუციის მონაპოვრების შენარჩუნების აუცილებლობას, რუსეთის სახელმწიფოს შემდგომი ფედერალიზაციისა და დემოკრატიზაციის საფუძველზე (Османов 1994, 28-29).

ამავე წლის ოქტომბერში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელ და კაზაკ მოსახლეობას შორის დაპირისპირების აღკვეთის მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ გაერთიანებული მთიელთა კავშირი შეუერთდებოდა ე. წ. სამხრეთ-აღმოსავლეთის კაზაკთა ჯარების, კავკასიის მთიელთა და სტეპების თავისუფალ ხალხთა კავშირს. ხსენებული რეგიონული ორგანიზაცია აერთიანებდა დონის, ყუბანის, თერგისა და ასტრახანის კაზაკთა ჯარებს, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებს და, გარდა ამისა, „სტეპების თავისუფალ ხალხებს“ – სტავროპოლის გუბერნიისა და თერგის მხარის ნოღაელებს, ყარანოღაელებს და თურქმენებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის უშუალო მიზანს წარმოადგენდა „რუსული დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის სასწრაფო დაფუძნების მიღწევა, მისი კავშირის წევრთა დამოუკიდებელ შტატებად აღიარებით“ (Османов 1994, 74).

ამგვარად, არსებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თებერვლის რევოლუციიდან ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე მთიელთა კავშირის პოლიტიკური ლიდერები ძირითადად ორიენტირებული იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა პოლიტიკური კონსოლიდაციის მიღწევაზე.

ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ კავკასიაშიც, სადაც ჯერ კიდევ 1917 წლის მარტში შეიქმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელსაც დროებითმა ხელისუფლებამ ამ მხარის სამოქალაქო ადმინისტრირების ფუნქცია დაუკისრა. როგორც ჩრდილოეთ კავკასიის შემთხვევაში, ოზაკომის მთავარ მიზანსაც კავკასიელებსა და ამიერკავკასიაში ჩამოსახლებულ რუს მოსახლეობას შორის თანხმობის მიღწევა იყო. ოზაკომის ხელმძღვანელად დაინიშნა რუსი კადეტი ხარლამოვი, ხოლო ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი, აკაკი ჩხენკელი, ოზაკომში კავკასიის ფრონტზე პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლად შევიდა. ამავე დროს, ხსენებულ სტრუქტურაში იგი ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციების წარმომადგენელიც იყო (Уратадзе 1956, 20-21).

1917 წლის გაზაფხულზე საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელსაც კავკასიის გაერთიანება ქვეყნის საბოლოო დამოუკიდებლობის ერთადერთ ფუნდამენტად მიაჩნდა, კავშირები გააბა ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირთან. მაისში საქართველოს დელეგაცია, რომელშიც ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერები – შალვა ამირეჯიბი, შალვა ქარუმიძე, დავით ვაჩნაძე და დიმიტრი ჭიაბრიშვილი შედიოდნენ, გაერთიანებულ მთიელთა კავშირის პირველ ყრილობას დაესწრო. გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე, რომელიც პარტიის ორგანოს წარმოადგენდა, შალვა ამირეჯიბი მიესალმებოდა კავკასიელ მთიელთა შორის რეგიონალური სოლიდარობის გრძნობის ზრდას.

პეტროგრადში მომხდარმა ოქტომბრის ბოლშევიკურმა გადატრიალებამ გაწყვიტა ბოლო ძაფიც, რომელიც კავკასიას რუსეთთან აკავშირებდა, რითაც ადგილობრივ ხალხებს გაუხსნა ეკლიანი გზა დამოუკიდებლობისკენ. ოზაკომმა დაუთმო თავისი ფუნქციები ამიერკავკასიის კომისარიატს, რომელსაც ქართველი სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი ხელმძღვანელობდა. ფორმალურად, ამიერკავკასიის კომისარიატს უნდა ემართა სამხრეთ კავკასია პეტროგრადში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე (Уратадзе 1956, 24).

თურქული ფაქტორი

კავკასიის ფრონტზე სწრაფად განვითარებულმა მოვლენებმა რეგიონზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. 1918 წლის დასაწყისში ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენით რუსულ-თურქულ ფრონტზე დისლოცირებულმა რუსულმა ჯარებმა სწრაფი დაშლა დაიწყეს. სამხედრო ნაწილები თვითნებურად ტოვებდნენ საომარ პოზიციებს, რათა რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყვნენ სახლებში. შექმნილი მდგომარეობით დაუყოვნებლივ ისარგებლა თურქულმა მთავარსარდლობამ, რომელმაც თავის ჯარებს რუსთა მიერ დატოვებული ტერიტორიების სწრაფი დაკავება უბრძანა.

პარალელურად გააქტიურდა თურქული დიპლომატიაც, რომელიც ცდილობდა დაერღვია 1915 წელს საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან დადებული სტამბოლის შეთანხმება და შექმნილი მდგომარეობა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური ანექსიისთვის გამოეყენებინა.

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადებამდე ცოტა ხნით ადრე, თურქებმა თავისი გერმანელი მოკავშირეებისგან მიაღწიეს თანხმობას ოსმალური იმპერიის მიერ ყარსის, არდაღანის და ბათუმის ანექსიაზე (Fischer 1961, 483-484). უნდა აღინიშნოს, რომ დასაწყისში გერმანელები არ აპირებდნენ, თურქებისათვის ბათუმის დაკავების უფლება მიეცათ (Zürrer 1978, 60-61). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მოვლენათა მსგავს განვითარებაში გარკვეული ბრალი მიუძღვოდა ამიერკავკასიის ხელმძღვანელობასაც. კერძოდ, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა არ გამოიყენეს იმის შესაძლებლობა, რათა ეცადათ თურქული ტერიტორიული პრეტენზიების დაბლოკვა გერმანული მხარის დახმარებით და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის საქმეში ჩართვით, რომელმაც ამ დროისათვის საკმაოდ დიდი სიმპათიები მოიპოვა ბერლინში (Zürrer 1978, 44).

ოსმალური ჯარების კავკასიაში შეჭრასთან ერთად შეიცვალა სტამბოლის პოლიტიკა მთიელებთან დაკავშირებითაც. წინათ თურქები უწყობდნენ ხელს მთიელი აქტივისტების საქმიანობას, რომლებიც თურქეთიდან საიდუმლოდ გადადიოდნენ კავკასიაში დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდის მიზნით. თუმცა 1918 წლის დასაწყისში ოსმალეთის მმართველმა „ახალგაზრდა თურქებმა“ დაიწყეს ფიქრი რეგიონზე პირდაპირი კონტროლის დამყარების შესახებ. ასე მაგალითად, ინგუში ჯემალ ალბოგაჩიევი და დაღესტნელი ათაბექ უჩმიევი, რომლებსაც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ჰქონდათ კავშირი გერმანელებთან და რომლებიც მიზნად ისახავდნენ თურქეთის გავლით კავკასიაში გადასვლას მთიელთა დამოუკიდებლობის პროპაგანდის მიზნით, სტამბოლში დააკავეს. თურქებმა განუცხადეს ალბოგაჩიევს, რომ ის მიიღებდა კავკასიაში გადასვლის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დათანხმდებოდა, ეწარმოებინა პროპაგანდა ჩრდილოეთ კავკასიაზე თურქული პროტექტორატის დამყარების სასარგებლოდ (Zührer 1978, 34).

ამგვარ არასახარბიელო ისტორიულ კონტექსტში ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირის მეთაურთა ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის ინიციატივა ძნელად თუ იქნებოდა წარმატებული. მიუხედავად ამისა, პეტერბურგში ბოლშევიკური გადატრიალებისთანავე მთიელთა კავშირის ხელმძღვანელობამ სასწრაფო ზომები მიიღო ამიერკავკასიის პოლიტიკურ მოღვაწეებთან კონტაქტის დასამყარებლად. 1918 წლის 28 თებერვალს მთიელთა კავშირის ხელმძღვანელობამ შექმნა სამხრეთ კავკასიაში განსაკუთრებული დელეგაცია აბდულ-მეჯიდ (ტაპა) ჩერმოევის, ჰაიდარ ბამატის, ზუბაირ თემირხანოვის და ქადი დებიროვის შემადგენლობით. დელეგაციას ევალებოდა, „მიეღო გადამწყვეტი ზომები ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის ამიერკავკასიასთან ტერიტორიული გაერთიანებისათვის“. გარდა ამისა, „შესულიყო კავშირში ოსმალურ იმპერიასთან და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან, რათა გაერკვია დასახელებულ სახელმწიფოთა მხრიდან აქტიური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობები დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით, რომელიც იქნებოდა ჩაბმული აქტიურ ეკონომიკურ და სამხედრო კავშირებში თურქეთთან და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებთან.“[1]

თუმცა ამ დროს ამიერკავკასიის ხელმძღვანელთა მთელი ყურადღება გადატანილი იყო თურქეთთან მოლაპარაკებებზე, რომელიც მარტის შუა რიცხვებიდან დაიწყო ტრაპიზონში. შექმნილი რეალობის არასწორი შეფასებიდან გამომდინარე, ამიერკავკასიის მთავრობამ უარი თქვა, ეღიარებინა სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლობა, რადგან გულუბრყვილოდ მიაჩნდა, რომ ამგვარად უკეთ დაასაბუთებდა საკუთარ პრეტენზიებს ბრესტ-ლიტოვსკში დადებული საზავო ხელშეკრულების იმ პუნქტების მიმართ, რომლებიც უშუალოდ ეხებოდნენ კავკასიას.

ჩრდილოეთ კავკასიის დელეგატთა ტრაპზონში ამიერკავკასიისა და ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაციებთან შესახვედრად ჩასვლა ფატალურად დაემთხვა მოლაპარაკებების ჩაშლას. მთიელთა წარმომადგენლები, რომელთაც ერთდროულად სურდათ სტამბოლის პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვებაც და ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნაც,

1 *ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის მთიელთა კავშირის დროებითი ხელისუფლების რეზოლუცია, ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის ხალხისა და ტერიტორიის პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ამიერკავკასიასთან, ასევე ურთიერთობის დამყარებაზე ოტომანურ იმპერიასთან და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან, დასახელებული სახელმწიფოების მიერ კავკასიის სახელმწიფოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით მათი აქტიური დახმარების შესაძლებლობის გამოსარკვევად.* Владикавказ, 28. 2. 1918. Archives familiales de M. Bammate (Paris, France).

აცნობიერებდნენ იმ ნეგატიურ შედეგებს, რომლებსაც თურქების ექსპანსიონისტური მისწრაფებები იწვევდა. ყოველივე ეს გამოვლინდა განცხადების ტექსტში, რომელიც 14 აპრილს ბამატმა, როგორც მთიელთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, გადასცა რაუფ-ბეი ორბაის და ჩხენკელს – ოსმალეთისა და ამიერკავკასიის დელეგაციების თავმჯდომარეებს. ტექსტში ხაზგასმული იყო, რომ „ამიერკავკასია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზმი, ვერ შეძლებს არსებობას დაღესტნისა და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა“ ტერიტორიებთან გაერთიანების გარეშე... ერთიანი კავკასიის შექმნა ნაკარნახევია ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებებით“ (Bamat 1918). ამავე დროს, მთიელთა კავშირის წარმომადგენლები გამოდიოდნენ ოსმალეთსა და ამიერკავკასიას შორის მშვიდობის დამყარების სასარგებლოდ. ბამატის მტკიცებით, რომელიც ტრაპიზონის მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ სტამბოლში გაემგზავრა, მთიელთა დელეგაცია ცდილობდა, მეტ კონსტრუქციულობაზე დაეყოლიებინა თურქები ამიერკავკასიასთან მიმართებაში (Archives du ministère des Affaires étrangères 1919).

თუმცა ეს მცდელობები წარუმატებლად დასრულდა. ისარგებლეს რა მოლაპარაკებების ჩაშლით, თურქებმა განაახლეს საბრძოლო მოქმედებები და აპრილის შუა რიცხვებისთვის დაიკავეს მათ მიერ მოთხოვნილი ოლქები. 15 აპრილს თურქული ჯარები ბათუმში შევიდნენ. ამგვარ პირობებში ამიერკავკასიის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, მშვიდობა მოეთხოვა და მიეღო სტამბოლის წინადადება თურქების მიერ ოკუპირებულ ქალაქში სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლების შესახებ (Fischer 1961, 484). იმის გამო, რომ მოლაპარაკებების განახლების წინასწარ პირობად თურქები რუსეთისგან ამიერკავკასიის ფორმალური დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდნენ, 22 აპრილს ოფიციალურად გამოცხადდა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა (Fischer 1961, 484).

ბათუმის სამშვიდობო კონფერენცია და ერთიანი კავკასიის პროექტები

ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაზე შექმნილმა მდგომარეობამ ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიელებს მათთვის საინტერესო საკითხების უფრო ინტენსიური განხილვის საშუალება მისცა. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ტრაპიზონის მოლაპარაკებებისგან განსხვავებით, ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა გერმანული მხარეც, სტამბოლში გერმანელი მთავარსარდლის, ბავარიელი გენერალ-მაიორის ოტო ფონ ლოსოვის სახით. ფონ ლოსოვი გამოხატავდა ბერლინის სამხედრო წრეების აზრს, რომლებიც უკიდურესად ფრთხილი გერმანელი დიპლომატებისგან განსხვავებით, ემხრობოდნენ უფრო მკაცრ პოლიტიკას როგორც ბოლშევიკებთან, ისე თურქეთთან მიმართებაში და ეწინააღმდეგებოდნენ „ახალგაზრდა თურქთა“ ექსპანსიონისტურ გეგმებს კავკასიაში. მათი აზრით, თურქული არმიის მთავარი ამოცანა ჩრდილოეთ ირანში ინგლისელების წინააღმდეგ მოქმედება იყო (Baumgart 1966, 178; Zürrer 1978, 65-70).

ამასთან, გენერლის აზრით, გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური აქტიურობა უნდა განვრცობილიყო როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კავკასიაზე. ფონ ლოსოვის ამგვარი

პოზიცია საიმედო საფუძველს იძლეოდა როგორც ჩხენკელის ამიერკავკასიური და ბამატის ჩრდილოკავკასიური დელეგაციების შემდგომი დაახლოებისათვის, ისე ამ უკანასკნელის ბათუმის კონფერენციის მუშაობაში ჩასართავად, რადგან ფორმალური თვალსაზრისით, კონფერენცია ორმხრივი – თურქულ-ამიერკავკასიური იყო. თავად ბამატი იმდენად იყო დარწმუნებული სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანების გარდაუვალობაში, რომ კონფერენციაზე ჩრდილოკავკასიელთა დელეგაციის დასწრების აუცილებლობას იმ ფაქტით ასაბუთებდა, რომ ჩრდილოეთ კავკასია ობიექტური მიზეზების მთელი სპექტრის გამო უკვე ჩაბმული იყო ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის საქმეში. კონფერენციის დასაწყისშივე, 1918 წლის 8 მაისს, ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელი აღნიშნავდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიას ამიერკავკასიასთან აკავშირებდა „ერთნაირი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები", დაწყებული იყო „ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება", რომლის კონსტიტუციაც განსაზღვრული იქნებოდა ახლო მომავალში (Bammate 8.5.1918 Archives familiales de N. Badoual-Keresselidzé).

ამის შესახებ ბამატმა და თემირხანოვმა აცნობეს ფონ ლოსოვსაც, რომელსაც იმავე დღეს მიმართეს თხოვნით, დაეშვა მთიელთა წარმომადგენლები ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად. „გვაქვს რა მიზანი, მივიღოთ მონაწილეობა ბათუმის მოლაპარაკებებში, მთიელთა წარმომადგენლები მოგმართავთ თხოვნით, თქვენო აღმატებულებავ, მოახდინოთ გერმანიის იმპერიული ხელისუფლების და ავსტრია-უნგრეთის სამეფოს ინფორმირება ჩვენს პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებით და საქმის კურსში ჩაგვაყენოთ, რამდენად შეგვიძლია გვქონდეს გერმანიის დახმარების იმედი ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის ადგილობრივი ხალხების პოლიტიკური იდეალების განხორციელების საქმეში. იდეალის არსი მდგომარეობს მთელ კავკასიაში საერთო სახელმწიფოს შექმნაში, რაც მომავალში მოხდება კავკასიის ორი ნაწილის საფუძველზე" (Bammatoff, Temirkhanoff Mai 8, 1918, Archives familialesde M. Bammate).

ამიერკავკასიის დელეგაციის მხრიდან ამ საკითხების განხილვა ჩრდილოეთ კავკასიელთა მიმართ გულწრფელი სიმპათიების ფონზე მიმდინარეობდა. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩრდილოკავკასიელ დელეგატთა უფლებამოსილების შემამოწმებელი კომისიის მუშაობაში, მოგვიანებით წერდა, რომ „საერთოკავკასიურ ფედერაციაში მთიელთა რესპუბლიკის შესაძლებელ გაერთიანებას ყველა ძალიან უთანაგრძნობდა და ბამატის მონაწილეობა კონფერენციაში წინააღმდეგობას არ იწვევდა" (Авалов 1924, 40-41). 11 მაისს ჩხენკელმა საზეიმოდ აცნობა ბამატს, რომ მისი დელეგაცია თანახმა იყო მთიელთა კონფერენციაში მონაწილეობაზე (Tchkhenkéli, Mai 11, 1918, Archives familialesde N. Badoual-Keresselidzé).

ბათუმის კონფერენციაში მთიელთა დელეგაციის მონაწილეობის საკითხმა მისი ხელმძღვანელობა პირდაპირ მიიყვანა დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე. ეს მოხდა 11 მაისს. ამისი პირდაპირი მიზეზი გახდა გენერალ ფონ ლოსოვის პოზიცია, რომელიც მან დააფიქსირა 10 მაისის წერილში ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელის ჩხენკელის მიმართ. მასში გერმანიის წარმომადგენელი იტყობინებოდა, რომ მას პრინციპში მთიელთა ბათუმის კონფერენციაში მონაწილეობის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. თუმცა ლოსოვი წერდა, რომ თავის საბოლოო თანხმობას მხოლოდ მაშინ განაცხადებდა, თუკი „შესაძლებელი იქნებოდა ამ დელეგატების აღიარება სახელმწიფოების, ან სახელმწიფოთა კავშირის წარმომადგენლებად, რომლებიც სათანადოდ მოახდენდნენ საკუთარი დამოუკი-

დებლობის კონსტრუირებასა და დეკლარირებას და მოითხოვდნენ მათი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღიარებას ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა მხრიდან. ამ შემთხვევაში დასახელებული დელეგატები შეძლებდნენ მონაწილეობის მიღებას მოლაპარაკებებში ხმის უფლებით და იმავე უფლებებით, რომლითაც სარგებლობენ კონფერენციაზე წარმოდგენილი სხვა მთავრობების დელეგატები" (Von Lossow, Mai 10, 1918, Archives familiales de N. Badoual-Keresselidzé).

მთიელთა კავშირის პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით დაისვა ამიერკავკასიასთან მისი საერთო საზღვრების საკითხი. 11 მაისის დეკლარაცია, რომელსაც ხელს აწერდა მთიელთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარე ა. მ. ჩერმოევი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ბამატი, იტყობინებოდა, რომ „ახალი სახელმწიფოს ტერიტორიას ჩრდილოეთით ექნება ყოფილი რუსული იმპერიის დაღესტნის, თერგის, სტავროპოლის, ყუბანის და შავიზღვისპირეთის გუბერნიებისა და ოლქების საზღვრები, დასავლეთით – შავი ზღვა, აღმოსავლეთით – კასპიის ზღვა, სამხრეთის საზღვარი კი დადგენილ იქნება ამიერკავკასიის ხელისუფლებასთან შეთანხმებით" (Декларация об объявлении независимости Союза горцев, Mai11, 1918, Archives familialesde N. Badoual-Keresselidzé).

მთიელთა კავშირის ხელმძღვანელობას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია იმ გარემოებისთვის, რომ მე-19 საუკუნის რუსულ-კავკასიური ომების შედეგად ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილიდან ოსმალეთის იმპერიაში გაძევებული ჩერქეზების შთამომავლები, რომლებიც თურქულ არმიასა და ადმინისტრაციაში მაღალ პოსტებს იკავებდნენ, ამავე დროს სტამბოლის მმართველ წრეებში ჩრდილოკავკასიელთა ინტერესების მთავარ ლობისტთა როლს ასრულებდნენ. ოსმალური იმპერიის მიმართ ერთგულებასთან კავკასიური პატრიოტიზმის თავისებური შერწყმით, ოსმალო ჩერქეზთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმედოვნებდა, რომ ოთხთა კავშირის რუსეთზე გამარჯვების შემთხვევაში, თავიანთი წინაპრების მიწაზე დაბრუნდებოდა. თავის მხრივ, თურქეთის ხელისუფლებაც ხელს უწყობდა ამ მისწრაფებებს. იყენებდა რა მთიელი მუჰაჯირების შთამომავლებს დიპლომატიურ და სამხედრო ექპერტებად, სტამბოლი მათი მეშვეობით ცდილობდა, გაევრცელებინა თავისი გავლენა ჩრდილოეთ კავკასიაზე, რეგიონზე, რომელსაც აზერბაიჯანთან ერთად თავისი გავლენის სფეროდ განიხილავდა.[2]

მიუხედავად ამისა, სტამბოლის ანექსიონისტური პოლიტიკა თავის საფუძველშივე სპობდა სიცოცხლისუნარიანი და კავკასიელ ხალხთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით აგებული ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას. ყველაზე მკაფიოდ ეს გამოვლინდა ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაზე, სადაც თურქებმა უარი თქვეს გერმანიის შუამდგომლობაზე და 26 მაისს ქართველებსა და სომხებს ულტიმატუმის ფორმით წარუდგინეს ახალი ტერიტორიული პრეტენზიები, რომლებიც დიდად სცილდებოდა ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების პირობებს. უკვე დაკავებული ყარსის, არდაღანის და ბათუმის გარდა, თურქებმა მოითხოვეს მათთვის ქართული ახალციხისა და ახალქალაქის, ისევე როგორც სომხური ალექსანდროპოლის გადაცემა, ალექსანდროპოლ-ჯულფას სარკინიგზო გზაზე მათი კონტროლის დამყარებით (Baumgart 1966, 309-310; Авалов 1924, 42-94).

2 რევაზ გაბაშვილი, ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი, თავის მემუარებში იუმორით იხსენებდა, რომ რაუფ-ბეი, ტრაპზონის სამშვიდობო კონფერენციაზე ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელი, წარმოშობით აფხაზეთიდან იყო „და ამბობენ, აკაკი ჩხენკელის მეზობელი სოფლიდანაც" (გაბაშვილი 1959, 167).

„ამ პირობებით თურქეთი უზრუნველყოფდა თავისთვის, არსებითად, არა მხოლოდ ამიერკავკასიაზე პოლიტიკურ კონტროლს, არამედ გასასვლელს აზერბაიჯანის და სპარსეთის (ანუ სპარსეთის აზერბაიჯანის) საზღვრებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გასასვლელს ქვეყნებზე თურქული წარმოშობის მოსახლეობით და თურქულივე ენით“ (Авалов 1924, 42).

ოსმალური ექსპანსიის შედეგად და აზერბაიჯანულ-სომხური დაპირისპირების საერთო ზრდის ფონზე ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელმაც შემდგომში საბედისწერო შედეგი იქონია ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის ხალხთა მომავალზე: ამიერკავკასიის რესპუბლიკა პოლიტიკურად დაიშალა.

ამიერკავკასიის დაშლა და დამოუკიდებელი კავკასიური სახელმწიფოების დაბადება. გერმანული ფარი საქართველოსთვის

26 მაისს, თურქული ულტიმატუმის გამოცხადების დღეს, საქართველომ, რომელიც ცდილობდა, ოსმალური შემოსევისგან გერმანელთა დახმარებით გადაერჩინა თავი, თავის მხვრივ გამოაცხადა საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 28 მაისს მის მაგალითს მიბაძეს სომხეთმა და აზერბაიჯანმა (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, 1919, 330-338).

იმ დღესვე, თურქეთის ექსპანსიის დასრულების მიზნით, ფონ ლოსოვმა და ჩხენკელმა, რომელმაც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „გერმანიასა და საქართველოს შორის ურთიერთობების დროებითი დარეგულირების შესახებ“. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ საქართველო ოთხთა კავშირსა და ბოლშევიკურ რუსეთს შორის დადებულ ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულებას განიხილავდა, „როგორც გერმანიის იმპერიასთან საკუთარი ურთიერთობების საფუძველს“. ომის დასასრულამდე საქართველო უფლებას ანიჭებდა გერმანიას და მის მოკავშირე სახელმწიფოებს, ესარგებლათ მისი სარკინიგზო გზებით ჯარებისა და სამხედრო ტვირთების გადაზიდვის მიზნით. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფოთის პორტის დასაცავად და საქართველოს ტრანზიტული რკინიგზის მთელ გაყოლებაზე დისლოცირდებოდა გერმანული შეიარაღებული საპატრულო რაზმები (Arrangement provisoire pour le règlement temporaire des rapports entre l'Allemagne et la Géorgie, Mai 28, 1918, გ. მამულიას პირადი არქივი).

ზ. ავალიშვილის მახვილი შეფასებით, „მთავარი ძალა ამ (ძირითადი) ხელშეკრულებისა მდგომარეობდა: ა) ქართული ხელისუფლების ფაქტობრივ აღიარებაში გერმანიის მიერ და ბ) საქართველოს რკინიგზებზე დროებით გერმანული კონტროლის დამყარებაში“ (Авалов 1924, 66; Zürrer 1978, 77). თავის მხვრივ ფონ ლოსოვი შიშობდა, რომ თურქების შემდგომი წინსვლა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დადგენილი ფარგლების მიღმა, აუცილებად განაპირობებდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ ანარქიას კავკასიაში, რითაც შეუძლებელს გახდიდა რეგიონის უმდიდრესი რესურსებით სარგებლობას. საქმე ძირითადად ეხებოდა ქართულ მანგანუმს და ბაქოს ნავთობს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის მიერ სამხედრო მოქმედებების გაგრძელებისათვის.

მიუხედავად ამისა, თურქებმა გადაწყვიტეს წინსვლა და გერმანელების ფაქტის წინაშე დაყენება. ისე, რომ არც დაუცდიათ საკუთარ ულტიმატუმზე პასუხისათვის, ოსმალეთის ჯარები შეტევაზე გადმოვიდნენ და პირდაპირ შეუდგნენ მოთხოვნილი ოლქების დაკავებას. მცირერიცხოვანმა და ცუდად ორგანიზებულმა ქართულმა და სომხურმა სამხედრო ნაწილებმა ვერ შეძლეს მათი შეკავება.

4 ივნისს საქართველო იძულებული გახდა, ოსმალეთის იმპერიასთან დაედო „მშვიდობისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება, რითაც სრულებით დამოკიდებული ხდებოდა სტამბოლზე. მძიმე ტერიტორიულ დანაკარგებთან ერთად (ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი) დამატებითი ხელშეკრულების ძალით, რომელსაც იმ დღესვე მოეწერა ხელი თურქული და ქართული მხარეების მიერ, თურქები აწესებდნენ სრულ კონტროლს საქართველოს რკინიგზაზე. თითქოს დასცინოდნენ თავიანთ გერმანელ მოკავშირეებს, თურქები იღებდნენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჯარებისა და სამხედრო მასალების დაუბრკოლებელი გადაადგილების უფლებას (Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, 1919. 343-349, 357-360).

გერმანელებისა და ქართველების საპასუხო სვლამაც არ დააყოვნა. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი გერმანელი ტყვეებისა და კოლონისტებისგან საჩქაროდ ფორმირებულმა სამხედრო რაზმებმა, საქართველოს და გერმანიის დროშების ფრიალით, დაიკავეს ძირითადი სადგურები ქართულ რკინიგზაზე, რითიც წინააღმდეგობა გაუწიეს თურქების წინსვლას თბილისის მიმართულებით (Vasnadze 1930, 98; Allen and Muratoff 1953, 477).

8 ივნისს გაგზავნილი ტელეგრამით გენერალ-კვარტერმეისტერმა ერიხ ფონ ლუდენდორფმა მკაცრი ტონით, რომელიც მუქარას ჰგავდა, მოსთხოვა ისმაილ ენვერ-ფაშას, ოსმალეთის იმპერიის სამხედრო მინისტრს, პატივით მოპყრობოდა ფოთი-თბილისი-ალექსანდროპოლის რკინიგზის ხაზზე განლაგებულ გერმანულ სამხედრო პოსტებს, იმის აღნიშვნით, რომ „ისინი გერმანულ ჯარებს წარმოადგენენ“. თურქებს უნდა დაეცვათ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები და დაეტოვებინათ უკანონოდ დაკავებული ტერიტორიები. ლუდენდრორფი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს, რომ ბერლინი ვერ აღიარებდა „ხელშეკრულებებს, რომლებიც თურქეთმა ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან გერმანიის, ავსტრიისა და ბულგარეთის გვერდის ავლით დადო“ (Mühlmann 1940, 201).

კავკასიის ბუნებრივი რესურსები, როგორც მოსკოვის, ბერლინის და სტამბოლის მისწრაფებების საგანი

ესმოდა რა, რომ „ახალგაზრდა თურქთა“ ექსპანსიონისტური კურსი გამოიწვევდა შემდგომი დაძაბულობის ზრდას გერმანიასა და თურქეთს შორის კავკასიაში, ჰ. ბამატი ცდილობდა, შექმნილი სიტუაცია გამოეყენებინა მთიელთა ინტერესების სასარგებლოდ და მანევრირება მოეხდინა სტამბოლსა და ბერლინს შორის. გერმანული წყაროების ცნობით, თავისი ერუდიციის, დარწმუნების ნიჭისა და შეუპოვრობის წყალობით, ბამატმა შეძლო, საკუთარი შეხედულებების მხარეს გადაეხარა გენერალი ფონ ლოსოვი, რომელიც ჯერ კიდევ 1918 წლის მაისის შუა რიცხვებში აფრთხილებდა გენერალ ლუდენდორფს თურქეთის საფრთხის შემცველი ექსპანსიური გეგმების შესახებ. ამიერკავკასიის სიღრმეში თურქების შემდგომი წინსვლის შესაჩერებლად და საქართველოს სახელმწიფოებრივი კონსოლიდა-

ციის მხარდაჭერის მიზნით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა გამხდარიყო ბირთვი რეგიონის სხვა სახელმწიფოთა შემდგომი გაძლიერებისათვის, ფონ ლოსოვმა შესთავაზა ბერლინს, გაეგზავნათ გერმანული ჯარები ამიერკავკასიაში. დაცვით ფუნქციებთან ერთად, მათ მოვალეობაში უნდა შესულიყო ადგილობრივი კავკასიური არმიების კადრების მომზადებაც. ბამატთან საუბრების გავლენით, გენერალმა შეიმუშავა გერმანული ჯარების კავკასიაში გაგზავნის შემდეგი გეგმა. გერმანული ჯარების მიერ დაკავებული ყირიმიდან ტუაფსესაკენ, ასევე ტიხორეცკაია-ბაქოს რკინიგზით, გერმანელებს ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოს მხარდასაჭერად უნდა დაეძრათ ორი დივიზია. საქართველოში უნდა მომხდარიყო ერთი გერმანული დივიზიის დისლოცირება, რაც ხელს შეუწყობდა ბრძოლისუნარიანი ქართული არმიის ფორმირებას (Baumgart 1970, 58-59; Zürrer 1978, 39).

ამავე დროს, პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე, ფონ ლოსოვი შეუძლებლად მიიჩნევდა მთიელთა სახელმწიფოს შემადგენლობაში ოდესღაც ჩერქეზებით დასახლებული ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილის შესვლას. 15 მაისს ბამატისთვის გაგზავნილ წერილში ფონ ლოსოვი შემდეგნაირად აყალიბებდა გერმანული ხელისუფლების თვალსაზრისს მთიელთა კავშირის ჩრდილოეთ საზღვრის შესახებ: „დაღესტნისა და თერგის ოლქის საკითხი ნათელია. არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ ეს ტერიტორია ეკუთვნის ჩრდილოეთ კავკასიას. მაგრამ ყუბანის ტერიტორიის საკითხი ჯერ კიდევ არ არის ნათელი. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით, ყუბანის კაზაკები ახლოს არიან უკრაინის მოსახლეობასთან. ისინი ცხოვრობენ კომპაქტურ მასებად ყუბანის ოლქში, არიან ორგანიზებული და კარგად შეიარაღებული. აშკარაა, რომ ისინი არ მოახდენენ თავიანთი ტერიტორიის ევაკუირებას და არ მისცემენ, მათი თანხმობის გარეშე, მისი ანექსირების უფლებას მესამე ძალას. თუ ჩვენ მოვინდომებთ, გავაკეთებინოთ ეს ძალით, ქვეყანაში იფეთქებს ახალი სერიოზული ომი. გერმანიის ხელისუფლება ვერ დათანხმდება ისეთ წამოწყებას, რომელიც შექმნის ახალი ომის საფუძველს. გერმანიის ხელისუფლება ვერ დაუშვებს, რომ ასეთი აქცია მომზადდეს მისი თანხმობის გარეშე. დაბოლოს, ყუბანის ტერიტორიის ანექსია ძალის გამოყენებით იქნება ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დარღვევა, რასაც გერმანული ხელისუფლება ვერასგზით ვერ დაუშვებს. აქედან გამომდინარე, გერმანიის ხელისუფლება რჩება იმ აზრზე, რომ ამ მომენტისთვის ყუბანის ოლქის საკითხი ღიად უნდა დარჩეს (Von Lossov Mai 20,1918, Archives familiales de M. Bammate).

თუმცა ლოსოვის პროექტმა, მისი ბათუმიდან გერმანიაში დაბრუნების შემდეგ, მნიშვნელოვანი მოდიფიცირება განიცადა. დასტური მიიღო გენერლის შეთავაზების მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელიც ძირითადად ეხებოდა გერმანული ჯარების გაგზავნას საქართველოში. ამის მიზეზი იყო აზრთა შეხედულებების ძირეული განსხვავება ბერლინის უმაღლეს სამხედრო და დიპლმატიურ წრეებს შორის კავკასიაში ახლადშექმნილ სახელმწიფოებთან დაკავშირებით.

ლოსოვისა და ლუდენდორფისგან განსხვავებით, რომლებიც ძირითადად სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ და კარგად აცნობიერებდნენ გერმანიის იმპერიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს კავკასიაში, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელსაც ამ პერიოდში სახელმწიფო მდივანი რიჰარდ ფონ კიულმანი მეთაურობდა, საკითხს იურიდიულ-ფორმალური მხარით უდგებოდა და მეტ სიფრთხილესაც იჩენდა. გერმანელი დიპლომატების აზრით, კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის აღიარება პირდაპირ იყო დაკავშირებული გერმანიის პოლიტიკასთან ბოლშევიკური

რუსეთისადმი, რომელთანაც ოთხთა კავშირის ქვეყნებმა ცოტა ხნის წინ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება გააფორმეს. ანგარიში უნდა გაწეოდა ოსმალეთის იმპერიასაც – გერმანიის ძირითად მოკავშირეს ახლო აღმოსავლეთში. აქედან გამომდინარე, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, გერმანიის კავკასიურ პოლიტიკას არ უნდა გამოეწვია გართულება არც მოსკოვთან და არც სტამბოლთან (Baumgart 1966, 181-182).

ამავე დროს, უაღრესად რთულ სიტუაციაში მყოფი ბოლშევიკებიც მზად იყვნენ, დასთანხმებოდნენ ბერლინის მიერ საქართველოს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის აღიარებას, სადაც მდებარეობდა საბჭოთა რუსეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბაქოს, გროზნოს და მაიკოპის ნავთობსაბადოები. მოსკოვში ესმოდათ, რომ ძირითადი საფრთხე ბაქოს ნავთობისთვის მოდიოდა არა გერმანელებისგან, არამედ თურქებისგან, რომლებიც ცდილობდნენ, ნებისმიერ ფასად დაუფლებოდნენ აზერბაიჯანს.

4 ივნისს, იმ დღესვე, როდესაც სტამბოლმა საქართველოსთან დადო ხელშეკრულება, თურქებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას აზერბაიჯანთანაც, რის შედეგადაც ქვეყნის მთლიანი სარკინიგზო ქსელი გადადიოდა თურქული მე-3 არმიის კონტროლის ქვეშ (Zürrer 1978, 84-85).

ივნისის ბოლოს ოსმალეთის სამხედრო მინისტრის ენვერ-ფაშას ბრძანებით, განჯის შემოგარენში, სადაც იმ პერიოდში მდებარეობდა აზერბაიჯანის მთავრობის რეზიდენცია, თურქული მე-5 კავკასიური დივიზიის საფუძველზე დაიწყო „ისლამის კავკასიური არმიის“ ფორმირება. ენვერ-ფაშას ნახევარ ძმის, თურქი გენერლის ყილიგილ ნური-ფაშას ხელმძღვანელობით მოქმედი ამ შერეული შენაერთის ძირითად მიზანს, რომელიც როგორც რეგულარული თურქი ჯარისკაცებისგან, ისე ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოხალისეებისგან შედგებოდა, ბაქოს აღება წარმოადგენდა, სადაც 1918 წლის მარტიდან ხელისუფლება ეკუთვნოდა ადგილობრივ სახალხო კომისართა საბჭოს, ბოლშევიკ ს. შაუმიანის ხელმძღვანელობით (Muratoff 1953, 479).

აცნობიერებდნენ რა საფრთხეს, რომელიც ემუქრებოდა ბაქოს, ბოლშევიკებმა ბერლინს შემდეგი გარიგება შესთავაზეს: გერმანია მიიღებდა ბაქოს ნავთობით სარგებლობის უფლებას მისთვის საჭირო რაოდენობით იმ შემთხვევაში, თუკი იგი ხელს ააღებინებდა თურქებს აზერბაიჯანის დედაქალაქის დაკავებაზე. ფაქტობრივად ამითივე იყო განპირობებული ბოლშევიკების თანხმობა გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე, მის ტერიტორიაზე გერმანული ჯარების განთავსებით.

ბუნებრივია, ამგვარ საერთაშორისო კონტექსტში მთიელთა მთავრობის მანევრირების შესაძლებლობა უკიდურესად შეზღუდული იყო და აიძულებდა მას, ფსონს სტამბოლზე ჩამოსულიყო. ჯერ კიდევ აპრილის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში ჩასვლისას, სადაც მთიელთა დელეგაცია ტრაპიზონის ჩაშლილი კონფერენციიდან გაემგზავრა, ბამატმა შეძლო სამხედრო დახმარების სიტყვიერი დაპირების მიღება დიდი ვეზირის, მეჰმედ თალაათ-ფაშას და ენვერ-ფაშას მხრიდან. ამ მიზნით „ისლამის კავკასიური არმიის“ ფარგლებში დაიგეგმა ცალკე დივიზიის ფორმირება, რომელიც თბილისი-ვლადიკავკაზის გზით უნდა გაგზავნილიყო დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანური მოსახლეობის დასახმარებლად (Mühlmann 1940, 199-200).

19 მაისს, როცა ინგუშეთსა და ბალყარეთში მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა, ბამატი იძულებული გახდა, კვლავ დაეყენებინა ეს საკითხი რაუფ-ბეის, ტრაპზონის

კონფერენციაზე ოსმალური დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელის წინაშე (Баммат,Mai 19, 1918, Archives familialesde M. Bammate). 20 მაისს მთიელთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა საგანგებო წერილით მიმართა ა. ჩხენკელს, სადაც ამიერკავკასიის ხელისუფლებისგან ითხოვდა ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს გავლით, თურქული ნაწილების გადაადგილების უფლებას (Баммат Mai 20, 1918. Archives familialesde M. Bammate).

8 ივნისს თურქეთის მიერ ოკუპირებულ ბათუმში მთიელთა კავშირის ხელისუფლებამ ოსმალურ იმპერიასთან გააფორმა მშვიდობისა და მეგობრობის ხელშეკრულება. ამ შეთანხმებით, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებდა ოთხი დღით ადრე საქართველოსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების ტექსტის პარაგრაფებს, სარკინიგზო ქსელი ჩრდილოეთ კავკასიაში ასევე გადადიოდა თურქული ჯარების კონტროლქვეშ (Дополнительный договор, juin 8, 1918, Archives d'Ali Mardan-bey Toptchibachi, carton n° 3).

თავდაპირველად, ბოლშევიკებისგან ჩრდილოეთ კავკასიის გასაწმენდად თურქული ჯარების გამოყენების გეგმას არ ეწინააღმდეგებოდა ფონ ლოსოვიც. თუმცა ამან ხელი არ შეუშალა უკანასკნელს 25 მაისს გაეგზავნა გერმანიის დიდ გენერალურ შტაბში ტელეგრამა, რომლითაც იტყობინებოდა, რომ „თურქების თვალი მიმართულია ბაქოს, ვლადიკავკაზის და მთელი კავკასიის დაუფლებისკენ" (Mühlmann 1940, 199).

გერმანულ-თურქული წინააღმდეგობების ზრდა კავკასიაში და კავკასიელთა შემხვედრი ინიციატივები

მდგომარეობა შეიცვალა ბათუმის მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ, როდესაც გერმანელებისთვის ცხადი გახდა, რომ კავკასიელებთან დადებულ შეთანხმებებს თურქები ძირითადად ექსპანსიური მიზნებისთვის იყენებდნენ. ამასთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობაც ნაკლებად უწყობდა ხელს მსგავსი გეგმების განხორციელებას. 1918 წლის თებერვალში ბოლშევიკებმა დაიკავეს მთიელთა კავშირის დედაქალაქი – ვლადიკავკაზი. მაისში მათ მიერვე დაკავებულ იქნა ქალაქები პეტროვსკი და დერბენტი დაღესტანში. ამავე დროს, ყუბანში, ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთში, ოპერირებდა ანტანტაზე ორიენტირებული თეთრგვარდიული მოხალისე არმია გენერალ მიხეილ ალექსეევის მეთაურობით, რომელიც ერთნაირად მტრულად იყო განწყობილი როგორც კავკასიის ახალწარმოქმნილი სახელმწიფოების, ისე ოთხთა კავშირის მიმართ. ამგვარ სიტუაციაში გერმანელ სამხედროთა შორის ჩრდილოეთ კავკასიის საქმეებში ჩარევის მომხრენი უმცირესობაში აღმოჩნდნენ. გაიმარჯვა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კურსმა, რომელიც ბოლშევიკებთან უთანხმოებას დაუშვებლად მიიჩნევდა. თავის მხრივ ფონ ლოსოვმა, რომელსაც აღიზიანებდა „ახალგაზრდა თურქთა" ექსპანსიონისტური გეგმები, ბრძანა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართული სამხედრო გზით, 37-ე თურქული დივიზიის გადასროლის შეჩერება (Zürrer 1978, 40). ამავე მიზეზის გამო, გერმანელებმა არ გაიზიარეს ბამატის 14 ივნისით დათარიღებული თხოვნა კავკასიაში გერმანიის დიპლომატიური წარმომადგენლის, ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგის სახელზე, რომელიშიც ბამატი კვლავ ითხოვდა ჩრდილოეთ კავკასიაში თურქული იარაღის და ინსტრუქტორების გატარებას საქართველოს გავლით (Письмо Бамматаграфу Ф. В. фон дер Шуленбургу июнь 14, 1918, РФ ИИАЭ ДНЦ РАН).

ბამატისთვის გაგზავნილი 15 ივნისის საპასუხო წერილით ფონ შულენბურგი, რომელიც ამ დროის თავის ერთ-ერთ ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიელები „აბსოლუტურად თურქული ფერვატერით მიცურავენ“ (Zürrer 1978, 40), იტყობინებოდა, რომ „საკითხი თურქული ჯარების ტრანსპორტირების შესახებ ქართული რკინიგზის მეშვეობით, უნდა დარეგულირდეს გერმანიისა და ოსმალური იმპერიების მთავრობების მიერ“ (Письмо графа Ф. В. фон дер Шуленбурга Баммату июнь 15, 1918, РФ ИИАЭ ДНЦ РАН).

მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ კავკასიელები არ ნებდებოდნენ. 14 ივნისს თბილისში გერმანული სამხედრო მისიის მეთაურის, გენერალ კრესს ფონ კრესსენშტაინის ჩამოსვლის შემდგომ მთიელთა წარმომადგენლებმა მასთან აუდიენციას მიაღწიეს. ამჯერად, ბამატის გარდა, საუბარში მონაწილეობას იღებდა ინგუში არზამაკოვიც (ჰაჯი მურად ჰაზავატი). კაცი, რომელიც ცნობილი იყო თავისი პროგერმანული სიმპათიებით და ომის დაწყებისთანავე თანამშრომლობდა გერმანიასთან. დელეგატებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ რუსი ბოლშევიკები ემუქრებიან არა მხოლოდ მთიელთა დამოუკიდებლობას, არამედ მათ ფიზიურ არსებობასაც, გენერალს მიმართეს თხოვნით, რათა გერმანიას ან თავად გაეწია დახმარება ჩრდილოკავკასიელებისთვის, ან ამის შესაძლებლობა მიეცა თურქებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთიელები იძულებულნი გახდებოდნენ, დახმარებისთვის მიემართათ ინგლისისთვის. ჩრდილოკავკასიელთა წარმომადგენლებმა ასევე განაცხადეს, რომ ისინი ყველა გარემოებაში იქნებოდნენ წინააღმდეგნი პროტექტორატის ან რაიმე სახის ახლო პოლიტიკური კავშირისა თურქეთსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის. კრესსმა უპასუხა, რომ ოთხთა კავშირის ნებისმიერი სამხედრო ჩარევა გამოიწვევდა რუსეთთან ახალ ომს. მიუხედავად ამისა, ის შეეცდებოდა მიეღწია თბილისის ხელისუფლების თანხმობისთვის, რომ საქართველოს მხარეს საიდუმლოდ მიეწოდებინა იარაღი ჩრდილოეთ კავკასიისთვის (Zürrer 1978, 41).

ბამატი დროებით ამ დაპირებით უნდა დაკმაყოფილებულიყო. თუმცა მას ესმოდა, რომ ჩრდილოეთ კავკასია რჩებოდა გერმანულ-თურქული წინააღმდეგობების და გერმანულ-საბჭოთა ურთიერთობების ტყვედ. ივნისის ბოლოს თურქული ხელისუფლების მოწვევით ბამატი სტამბოლში გაემგზავრა, სადაც უნდა ჩატარებულიყო კონფერენცია ოთხთა კავშირის ქვეყნების წარმომადგენლებისა და კავკასიელების მონაწილეობით თურქეთ-კავკასიის ურთიერთობების საბოლოოდ დარეგულირების მიზნით (Pomiankowski 1928, 366). მიუხედავად იმისა, რომ გერმანულ-თურქული წინააღმდეგობების შედეგად ხსენებული კონფერენცია არ შედგა (Pomiankowski 1928, 371-372), ბამატი შეეცადა, გავლენა მოეხდინა ბერლინის პოზიციაზე თურქეთში გერმანიის ელჩთან გრაფ იოჰან ჰენრიხ ფონ ბერნსტორფთან საუბრის მეშვეობით. ბედის ირონიით, სწორედ ბერნსტორფი იყო ბოლშევიკებთან ურთიერთობების გაფუჭების დაუშვებლობისა და, ამ პოსტულატიდან გამომდინარე, ჩრდილოეთ კავკასიის საქმეებში ჩაურევლობის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მომხრე (Baumgart 1966, 194).

როგორც ბამატი 31 ივლისს სწერდა ჩერმოევს, მთიელთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარეს, ივნისის მეორე ნახევარში შემდგარი შეხვედრის დროს, ბერნსტორფმა მას ღიად განუცხადა, რომ „მიღებული ინსტრუქციის თანახმად... მისი მთავრობა ვერავითარი სახით ვერ დაეხმარება, და ვერც სხვას მისცემს უფლებას, მოგვცეს ჩვენ სამხედრო დახმარება, რადგან ეს იქნებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დარღვევა. გერმანია ვერ შეძლებს შექმნას ჩრდილოეთ კავკასიაში მთავრობა, რომელიც იქ ფაქტიურად არ არსებობს, რად-

გან ეს იქნებოდა რუსეთთან ომის პროვოკაცია, რაც გერმანიისთვის დაუშვებელია. ჩემს მითითებას, რომ საქართველო სამართლებრივი თვალსაზრისით იგივე მდგომარეობაშია, პასუხი გაეცა – რუსეთის ხელისუფლება აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას და არაფერი აქვს გერმანული ჯარების ამიერკავკასიაში დარჩენის საწინააღმდეგო. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, რუსეთი შეურიგებელია და გერმანული დიპლომატიის მცდელობა, დაეყოლიებინა ის ჩვენს აღიარებაზე, უშედეგოდ დასრულდა. ჩემ მიერ იმის აღნიშვნას, რომ გერმანია დაგვპირდა დახმარებას და მხარდაჭერას, რაც გამოხატულია ფონ ლოსოვის წერილებში, უპასუხეს, რომ ეს იყო ამ გენერლის პოზიცია, რომელმაც ვერ მოიპოვა მთავრობის მხარდაჭერა“ (Османов 1994,142).

ბამატის სიტყვებით, გერმანიის ელჩმა მას იმ მიზეზებზეც მიუთითა, რომელთა გამოც ფონ ლოსოვის წინადადებებმა ვერ მიიღეს გერმანიის ხელისუფლების მხარდაჭერა. „ბერნსტორფმა გუშინ მითხრა, რომ ჩვენ გვინდა, თავიდან შევქმნათ ხელისუფლება, ჩვენი დედაქალაქი მტრების ხელშია, თვითონ არ ვმოქმედებთ და გვსურს, ჩვენი პოლიტიკური საქმე გერმანიის ხელით გავაკეთოთ. ელჩის თქმით, განსხვავება ჩვენსა და ქართველებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში, ავად თუ კარგად, ხელისუფლება არსებობს და გერმანია, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას იცავს, მხარს უჭერს ჯერ კიდევ მათ ჩარევამდე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს. ჩვენთან კი მათ მოუწევდათ, შეექმნათ რაღაც ახალი, რაც არ შეუძლიათ, რადგან ფორმალურ ლოიალობას ინარჩუნებენ რუსეთის მიმართ“ (Османов 1994. 143).

ესმოდა რა, რომ მხოლოდ ვლადიკავკაზის აღებას შეეძლო გერმანელების პოლიტიკის შეცვლა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ, ბამატი ითხოვდა ჩერმოევისგან: „ჩვენთვის ვლადიკავკაზის დაუფლება ხდება უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი. ვფიქრობ, რომ თვით ჩვენი წარმომადგენლობის დაშვება კონსტანტინოპოლის კონფერენციაზე, რომელიც, როგორც ჩანს, მაინც შედგება, ამ საკითხთან არის დაკავშირებული. თუ პოლიტიკური მდგომარეობა არ შეიცვლება, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ გვერდს აგვივლიან. ჩვენი პოლიტიკა, რამდენად რთულიც არ უნდა იყოს ეს არსებულ პირობებში, უნდა გამოიხატოს ერთგვარ თვითშემოქმედებაში. გერმანელებს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ჩვენი მოსახლეობა ჩვენთანაა. უნდა ავიღოთ დაწყევლილი ვლადიკავკაზი და შევქმნათ სახალხო მოძრაობა. ამ შემთხვევაში გერმანია შეიცვლის პოზიციას ჩვენთან დაკავშირებით“ (Османов 1994, 143). წერილის ბოლოს ბამატი აღნიშნავდა, რომ რადგანაც ზემოთ მოყვანილი გარემოებების გამო, მცხეთა-ვლადიკავკაზის გზაზე იმედებს ვერ დაამყარებდნენ, უნდა გამოეყენებინათ აზერბაიჯანის გზა დაღესტნისკენ. თურქეთში მოქმედი ჩერქეზული კომიტეტის დახმარებით მან შეძლო ოსმალური მთავრობის თანხმობის მიღება ჩრდილოეთ კავკასიაში საექსპედიციო ძალების გაგზავნის შესახებ, რომელთა ფორმირებაც მოხდა ჩრდილოკავკასიური წარმოშობის თურქი ჯარისკაცებისგან, მოდგმით ჩერქეზი გენერლის, იუსუფ იზეთ-ფაშას ხელმძღვანელობით (Османов 1994, 144). უნდა აღინიშნოს, რომ არაოფიციალურ დონეზე საქართველოს ხელისუფლება შეძლებისდაგვარად ცდილობდა მთიელებისთვის დახმარების აღმოჩენას, მათ შორის იარაღითაც. მით უმეტეს, რომ ბოლშევიკების მიერ დაკავებული თერგის ოლქიდან საქართველოს ტერიტორიაზე ანტისამთავრობო ამბოხებების ორგანიზება ხდებოდა. ასე მაგალითად, 1918 წლის ივლისში საქართველოს ხელისუფლებამ ჩაახშო ბოლშევიკური ამბოხება დუშეთში.

მთიელებისთვის დახმარების აღმოჩენით დაინტერესებულები იყვნენ გერმანელი სამხედროებიც. ფონ კრესსენშტაინის შეთავაზებამ მთიელებისთვის იარაღი საქართველოს შუამდგომლობით გადაეცათ, მიიღო ფონ ლუდენდორფის თანხმობა. ერთ-ერთი მიზეზი, რამაც უბიძგა საქართველოში გერმანული სამხედრო მისიის ხელმძღვანელს, გაეაქტიურებინა პოლიტიკა მთიელებთან მიმართებაში, იყო ის, რომ გერმანული დაზვერვის მონაცემებით, ვლადიკავკაზში მოქმედებდა ბრიტანული საიდუმლო სამხედრო მისია, რომელიც ინარჩუნებდა კონტაქტებს თავის აგენტებთან თბილისში. ინგლისელების მიზანს გერმანელთა გავლენის შესუსტება და ამიერკავკასიაში სიტუაციის დესტაბილიზაცია წარმოადგენდა. ფონ კრესსენშტაინის აზრით, ამისათვის წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელი იყო „მთიელ ხალხთა მხარდაჭერით იარაღითა და ტყვიებით, რუსული ტიპის შაშხანებისთვის, ისევე როგორც ბატალიონების დონეზე მცირე სამხედრო დანაყოფების მოქმედებაში ჩართვით“ (Zürrer 1978, 46-47).

მოსკოვთან განხეთქილების საშიშროების განეიტრალება შესაძლებელი იქნებოდა განცხადებით, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია ბრიტანული გავლენის ლიკვიდაციაზე ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში, როგორიც კავკასიაა, რაც განხორციელდებოდა საერთო გერმანულ-საბჭოთა ინტერესების ფარგლებში. იმისათვის, რომ თურქებს არ ეგრძნოთ თავი საქმიდან გარიყულად, გენერალი თანახმა იყო, ოპერაციაში მონაწილეობა მიეღო ექვს-რვა თურქულ ბატალიონსაც.

კრესსენშტაინი თვლიდა, რომ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბოლშევიკები ვეღარ შეძლებდნენ უარის თქმას მთიელთა დამოუკიდებლობის აღიარებაზე. მას ასევე მიაჩნდა, რომ მთის ბუფერული სახელმწიფოს შექმნა მომავალში დაბლოკავდა რუსეთის ექსპანსიას ამიერკავკასიაში, რაც გერმანიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა (Zürrer 1978, 46-47).

1918 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებასა და მთიელთა კავშირის მთავრობას შორის, ინგუშეთის ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელთა სახით, გაფორმდა საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც გახმოვანებას არ ექვემდებარებოდა. სიმინდის სანაცვლოდ (რომელსაც უკიდურესად საჭიროებდა საქართველოს მოსახლეობა) ქართველები ინგუშებს აწვდიდნენ გარკვეულ ტვირთს (Договор между правительством Грузинской республики и правительством Союза горцев 11. 8. 1918. Bibliothèque de documentation internationale contemporaine). ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება არ აკონკრეტებდა, რა სახის ტვირთის ტრანსპორტირება უნდა მომხდარიყო საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით, ეჭვს არ ტოვებს, რომ საუბარი იყო იარაღისა და საბძოლო მასალების საიდუმლო გადაზიდვაზე. მით უმეტეს, რომ ხსენებული ხელშეკრულების ხელმოწერიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, ინგუშებმა, რომელთაც მთიელთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერი ვასან-გირეი ჯაბაგიევი მეთაურობდა, ვლადიკავკაზი გაანთავისუფლეს თერგის კაზაკებისა და მათი მხარდამჭერი ოსებისაგან. ინფორმაციას მთიელთათვის ქართული მხარდაჭერის შესახებ ადასტურებს გენერალი ანტონ დენიკინიც, რომელიც აღნიშნავს, რომ ინგუშეთის გასათავისუფლებლად ქართველებმა ინგუშებს დაახლოებით მილიონი ტყვია გადასცეს (Деникин 1924, 241-242). რა თქმა უნდა, სწორედ ეს შეთანხმება ჰქონდა მხედველობაში ა. მ. ჩერმოევს, როდესაც აგვისტოს მეორე ნახევარში ატყობინებდა სტამბოლში მყოფ ბამატს „ქართველებთან შეთანხმებაზე, პურის მიწოდების სანაცვლოდ, ქართული გზით იარაღისა და საბრძოლო მასალის გადაზიდვის შესახებ (Османов 1994, 157).

ამ გამარჯვების შედეგად ინგუშებმა შეძლეს, საკუთარი ისტორიული მიწები გაეწმინდათ კაზაკებსაგან და, ამავე დროს, გაენადგურებინათ კოლონიზაციის მიზნით მათ ტერიტორიებზე გაშენებული თერგის ხაზის კაზაკური სოფლები. გზა, რომელიც თბილისს ვლადიკავკაზთან აკავშირებდა, ამიერიდან გახსნილი იყო.

ნავთობის ფაქტორი წყვეტს ყველაფერს

მალე ჩრდილოეთ კავკასია ისევ გახდა საერთაშორისო მოლაპარაკებების საგანი, რაც დაკავშირებული იყო თურქულ-აზერბაიჯანული ჯარების მიერ ბაქოს ალყაში მოქცევასთან. გერმანელებისთვის სასარგებლო ბრესტ-ლიტოვსკის ზავის ბოლშევიკების მიერ დენონსაციის შიშით, ბერლინი დათანხმდა მოსკოვთან გარიგებას, რომლის შესაბამისადაც გერმანიას მიენიჭა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების უფლება. სანაცვლოდ, საბჭოთა რუსეთი ინარჩუნებდა როგორც ჩრდილოეთ კავკასიას, ისე ბაქოს, საიდანაც გერმანიას უნდა მიეღო ნავთობის მნიშვნელოვანი წილი. ივნის-ივლისში შემუშავებული ეს პირობები იურიდიულად გაფორმდა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დამატებითი საგანგებო შეთანხმებით, რომლის რატიფიცირებაც გერმანულმა და საბჭოთა მხარემ 1918 წლის 27 აგვისტოს მოახდინეს. შეთანხმებაში ნათქვამი იყო, რომ გერმანია ვალდებულებას იღებდა, შეეკავებინა თურქული მხარე აზერბაიჯანის დედაქალაქის დაკავების მცდელობისგან. თურქულ ჯარებს არ უნდა გადაეკვეთათ დაწესებული ხაზები ბაქოს დასავლეთით და სამხრეთით (Baumgart 1966, 201-202).

სიტუაცია შეიცვალა აგვისტოს შუა რიცხვებში, როდესაც ე.წ. ცენტროკასპიის დირექტორიის მოწვევით, რომელმაც ჯერ კიდევ ივლისში ჩაანაცვლა ბაქოს ბოლშევიკური სახალხო კომისართა საბჭო, ქალაქის დასაცავად ბაქოში შემოყვანილ იქნა ბრიტანული მცირერიცხოვანი საექსპედიციო ძალები, გენერალ ლიონელ დენსტერვილის მეთაურობით (Kazemzadeh 1951, 140-141). ამ მოვლენის, ისევე როგორც ბაქოში ხელისუფლების შეცვლის შესახებ, ბერლინში მხოლოდ 6 სექტემბერს – გერმანულ-ბოლშევიკური დამატებითი ხელშეკრულების დადების შემდეგ შეიტყვეს.

ამის თაობაზე ბერლინში სასწრაფოდ გამართული გერმანულ-ბოლშევიკური კონსულტაციების საფუძველზე მხარეები მივიდნენ კონსენსუსამდე, რომლის მიხედვით ბოლშევიკები თანხმდებოდნენ გერმანელების მიერ ბაქოს დაკავებას, თუკი ამით უკანასკნელნი შეაკავებდნენ თურქებს ქალაქის ოკუპაციისაგან და განდევნიდნენ იქიდან ინგლისელებს. ამის შემდეგ ბაქო უნდა დაბრუნებოდა საბჭოთა რუსეთს, 27 აგვისტოს ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვით (Baumgart 1966, 203-204). კონსულტაციები კიდევ მიმდინარეობდა, როდესაც თურქულმა ძალებმა ახალი იერიში განახორციელეს ქალაქზე, რაც 15 სექტემბერს ბაქოს აღებით და იქიდან ინგლისელთა განდევნით დასრულდა (Kazemzadeh 1951, 143).

ბოლშევიკების რეაქციამ არ დააყოვნა. 20 სექტემბერს მოსკოვმა გამოაცხადა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების დენონსაცია თურქეთთან მიმართებაში (Baumgart 1966, 205). ახალი გარემოებების წინაშე მდგარი ბერლინი იძულებული გახდა, სტამბოლთან ახალი მოლაპარაკებები დაეწყო. დაძაბულობამ ორ მხარეს შორის იმ დონეს მიაღწია, რომ თურქების თვითნებური საქციელით გაღიზიანებული გერმანელები არ გამორიცხავდნენ მათ წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის ჩატარებას. ამ მიზნით გენერალმა კრესს ფონ კრესსენ-

შტაინმა მიიღო ბრძანება ბაქოდან თურქების განდევნის გეგმის დამუშავების შესახებ. პარალელურად გერმანულმა გენშტაბმა დაიწყო საქართველოში გერმანული შენაერთების გაძლიერებული გადმოსროლა, რომელთა რაოდენობამ სექტემბრის ბოლოს 19 000 ადამიანი შეადგინა (Baumgart 1970, 99-106).

გერმანულ-თურქული წინააღმდეგობის ესკალაციის ამგვარ კონტექსტში, ჩრდილოეთ კავკასია კვლავ მოექცა როგორც ბერლინის, ისე სტამბოლის სამხედრო-პოლიტიკურ გეგმებში. ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა გერმანელი სამხედროების პროექტს, რომელიც, როგორც ჩანს, არ იყო შეთანხმებული გერმანელ დიპლომატებთან, და რომელიც, მნიშვნელოვანწილად ახდენდა ფონ ლოსოვის გეგმის რეანიმირებას.

მთიელთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს პშემახო კოცევს, რომელიც სპეციალურად გაიგზავნა გერმანული ჯარების მიერ დაკავებულ უკრაინაში, 1917 წელს არსებული სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის აღდგენა შესთავაზეს.[3] კერძოდ, მთიელთა კავშირი თავიდან უნდა გაერთიანებულიყო დონის, ყუბანის და თერგის, აგრეთვე ასტრახანის კაზაკებთან და კალმუხეთთან. გერმანელების გათვლით, ასეთი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ყუბანელი კაზაკების მიერ კოლონიზირებული ჩერქეზული ტერიტორია უმტკივნეულოდ შევიდოდა მთიელებთან ერთად სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში. ხსენებულ კავშირში დონის შეყვანა უკრაინაში დისლოცირებულ გერმანულ ჯარებს ჩრდილოეთ კავკასიაში დაუბრკოლებელი გადასვლის შესაძლებლობას მისცემდა. ჩრდილოკავკასიელთა კაზაკებთან ამგვარი გაერთიანების შემთხვევაში, ფონ კრესსენშტაინს უფლება ეძლეობდა მთიელთათვის აღეთქვა სამხედრო დახმარება 20 000 შაშხანის, 192 ტყვიამფრქვევის და 32 საარტილერიო ერთეულის ოდენობით. ამ შეიარაღების გადაცემა კოცევის მეშვეობით უნდა მომხდარიყო. გერმანელები თვლიდნენ, რომ წარმოშობით ჩერქეზი კოცევი ჩერქეზების უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობდა, ვიდრე ჩერმოევი, ბამატი და ჯაბაგიევი (Zürrer 1978, 50-51).

თუმცა თავად კოცევს ხსენებულ კავშირის ფორმირებაში მთიელთა ჩართვის არც უფლებამოსილება გააჩნდა და არც სურვილი (Письмо Коцева дипломатической делегации Союза горских народов Кавказа 12. 9. 1918. РФ ИИАЭ ДНЦ РАН).ისევე როგორც ჩერმოევს, ბამატს და ჯაბაგიევს, კოცევსაც კარგად ესმოდა, რომ თანხმობის შემთხვევაში ამგვარ გაერთიანებაში დომინირებას მოახდენდნენ კაზაკები და არა მთიელები. გარდა ამისა, მთიელთა ხელმძღვანელობას ყუბანში მუჰაჯირების შთამომავლების ნაწილის დაბრუნებაზე უარის თქმაც მოუწევდა, რაც, სხვა თუ არაფერი, ოსმალურ იმპერიაში გავლენიანი ჩერქეზული დიასპორის მხარდაჭერის იმედს მოუსპობდა. ამის გარდა, ვლადიკავკაზში აგვისტოს სისხლიანი ბრძოლების შემდეგ, რის შედეგადაც ინგუშებმა თავიანთი ისტორიული მიწებიდან თერგის კაზაკების განდევნდა შეძლეს, კაზაკებთან შეთანხმების მიღწევა უაზრო ჩანდა. თუმცა კოცევი არ კარგავდა იმედს, რომ გერმანიის დახმარებას სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირში შესვლაზე თანხმობის გარეშეც მიიღებდა.[4]

---

3 ეს პროექტი გერმანელი სამხედროებისა და კაიზერის მიერ ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში, ლოსოვის ბათუმიდან ბერლინში დაბრუნებისას განიხილებოდა. ლუდენდორფი აცხადებდა, რომ მსგავსი კავშირი, რომელშიც სამხრეთ კავკასიაც უნდა შესულიყო, რუსულ-სლავური ელემენტის კარგი საპირწონე იქნებოდა. მაშინ ეს პროექტი გერმანულმა დიპლომატიამ დაბლოკა. იხ.: W. Zürrer, *Deutschland und die Entwicklung Nordkaukasiens in Jahre* 1918, S. 40.

4 აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის წინააღმდეგი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროც იყო. კერძოდ, იგი აკრიტიკებდა დონის მთავრობასთან გერმანული სარდლობის წარმომადგე-

უნდა ითქვას, რომ ბერლინში წინააღმდეგნი იყვნენ მთიელთა გეგმისა ჩრდილოეთ კავკასიიდან უცხო, რუსულ-კაზაკური მოსახლეობის განდევნის შესახებ. გერმანელები, რომლებიც ცდილობდნენ, ესარგებლათ კაზაკების კარგი სამხედრო მომზადებით, მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობის შენარჩუნებას, რაც აუცილებელი იყო ამიერკავკასიის მოსახლეობის პურით მოსამარაგებლად (Zürrer 1978, 43).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მთიელთა ხელმძღვანელობის პოზიცია უახლოვდებოდა თურქული ხელისუფლების თვალსაზრისს, რომელიც მუჰაჯირების შთამომავლების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებით რეგიონში საკუთარი გავლენის გაძლიერებას ფიქრობდა.

როგორც ჩანს, თურქებს ასევე ესმოდათ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის რეანიმირების გერმანული მცდელობები მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ პერიოდში თურქულ პოლიტიკურ წრეებში მკვეთრად იზრდებოდა ანტიგერმანული განწყობილებები. დადიოდა ხმები, რომ გერმანელები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს დონის კაზაკთა ატამან გენერალ პეტრე კრასნოვთან, რათა მიეღოთ კაზაკების მხარდაჭერა როგორც ბაქოში მყოფი ინგლისელების, ისე თურქების წინააღმდეგ (Allen andMuratoff 1953, 480).

გერმანულ-თურქულ დაპირისპირებაში ცეცხლზე ნავთს ასხამდა თურქების უკომპრომისო პოზიციაც ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო ძალების გამოყენების და გავლენის სფეროთა გაყოფის თაობაზე. გენერალი ფონ კრესსენშტაინი მოითხოვდა ვლადიკავკაზის (ისევე როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთელი დასავლეთი ნაწილის), დატოვებას გერმანული გავლენის სფეროში, იმ მოტივით, რომ ქალაქი ქართული სამხედრო გზის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენდა. ვლადიკავკაზის გერმანული ჯარების მიერ დაკავებასთან ერთად, ცალკე გერმანულ-თურქული შეთანხმების საგნად უნდა გამხდარიყო გროზნოს ნავთობის ექსპლოატაციის საკითხი. ოსმალეთის ელჩი თბილისში, აბდულ ქერიმ-ფაშა კი პირიქით თვლიდა, რომ ვლადიკავკაზი, ისევე როგორც ინგუშეთი, ჩეჩნეთი და დაღესტანი, ექსკლუზიურად თურქული გავლენის სფეროში უნდა შესულიყო (Zürrer 1978, 47-50).

ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში, ანუ თურქების მიერ ბაქოს აღებამდე, ფონ კრესსენშტაინის ინიციატივით ვლადიკავკაზში გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის სამხედრო მისიების წარმომადგენლები გაემგზავრნენ. გერმანული მისიის წარმომადგენლის, ლეიტენანტ ჰერბერტ ფოლკის მტკიცებით, ამ დაზვერვითი ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა ის, რომ „ბაქო უნდა გამხდარიყო გერმანული, თურქების დახმარებით ან მათ გარეშე. თურქების წინააღმდეგ იარაღის გამოყენება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, არსებობს სხვა გზაც. ვლადიკავკაზიდან სუსტი ბოლშევიკური ძალების განდევნის შემდეგ უნდა წავიწიოთ ბაქოსკენ ჩრდილოეთიდან, გერმანელების ხელში აღმოჩენილი ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღესტნის გავლით. სამხრეთიდან ბაქოს ასევე შეუტევს მირზა ქუჩუკ-ხანის დამხმარე სამხედრო ექსპედიცია“ (Volck 1938, 191-192).

ნელს, მაიორ კოკენჰაუზენს, რომელსაც კოცევისთვის ზედმეტი გულახდილობით უთქვამს რუსეთის უკრაინად, უშუალოდ რუსეთად, სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირად და ციმბირად დაყოფის გეგმის შესახებ. სარდლობამ საგარეო საქმეთა სამინისტროს უპასუხა, რომ ამ საუბარში კოკენჰაუზენი მხოლოდ შესაძლო სცენარებს შეეხო. იხ.: W. Zürrer, *Deutschland und die Entwicklung Nordkaukasiens in Jahre* 1918, S. 49. თუმცა ისიც ცნობილია, რომ მსგავსი გეგმა გაჟღერებული ჰქონდა თავად კაიზერ ვილჰელმ II-საც ასტრახანელი კაზაკების ატამან, თავად ტუნდუტოვთან შეხვედრისას 1918 წლის ივნისში. იხ.: *Авалов З. Независимость Грузии в международной политике* 1918-1921 *гг.*, с. 78.

ხსენებული ქუჩუკ-ხანი ჩრდილოეთ ირანის აჯანყებულ ჯენგალიელთა მოძრაობის ბელადი იყო, რომელიც ბოლშევიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მეთაურობდა 5000-კაციან შეიარაღებულ რაზმს. გენერალ დენსტერვილის მტკიცებით, პირდაპირ სამხედრო ოპერაციებში ჩართული კუჩუკ-ხანის დაჯგუფებები გერმანელი ოფიცრის, ფონ პასშენის ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდნენ და თავის რიგებში ავსტრიელ ინსტრუქტორებსაც ითვლიდნენ (Dunsterville 2007, 28-30, 173-174). კუჩუკ-ხანის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, ხელი შეეშალა დენსტერვილის ექპედიციური რაზმის, „დენსტერფორსისთვის" კასპიის ზღვაზე მდებარე ქალაქ ენზელიმდე მიღწევაში, საიდანაც რაზმი საზღვაო გზით ბაქოში უნდა ჩასულიყო. ამის გამო შეტაკებები „დენსტერფორსსა" და ქუჩუკ-ხანის ძალებს შორის 1918 წლის ივნისის პირველ ნახევარსა და ივლისის მეორე ნახევარში ჩრდილოეთ ირანში, მენჯილთან და რეშტთან მიმდინარეობდა (Dunsterville 2007, 155-163, 201-204).

ამრიგად, გერმანელების მიერ დაგეგმილი ოპერაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბაქოს დაკავება „კავკასიურ ისლამურ არმიასთან" უშუალო შეიარაღებული კონფრონტაციის გარეშე. როგორც ჩანს, თურქულმა ხელმძღვანელობამ შეიტყო გერმანელთა განზრახვის შესახებ და მის ჩაშლას შეეცადა, რამაც გერმანელთა თვალში მთიელთა კავშირის თბილისში მყოფი მთავრობის მეთაურის, ა. მ. ჩერმოევის ერთგვარი დისკრედიტაციაც გამოიწვია. ამის შესახებ კოცევმა ბამატს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „გერმანელებთან ურთიერთობა ლაგდებოდა, მაგრამ მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც ლამის ყველაფერი დაღუპა. ჩემთან ნური-ფაშასგან პოლკოვნიკი ზექი-ბეი ჩამოვიდა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში ინფორმაციის შესაგროვებლად უნდა გამგზავრებულიყო. თბილისიდან გასვლის წინ, ტაპამ (ჩერმოევმა – გ.მ.) მას გერმანიის და ავსტრიის მისიების წარმომადგენელთა წაყვანაც შესთავაზა. ზექიმ უპასუხა, რომ გენერალ კრესს ასეთი სურვილი არ ჰქონდა. ჩვენ დავუჯერეთ და გაკვირვებულნი დავრჩით, როდესაც გერმანელებმა და ავსტრიელებმა ზექის მარშრუტზე გამგზავრებაში დახმარება გვთხოვეს. მათგანვე შევიტყვეთ, რომ ზექის კრესსისთვის არაფერი უთქვამს. ტაპა შეეცადა, რომ ეს ოფიცრები ზექის დაწეოდნენ, რაც ვერ მოხერხდა. ზექი კი ვლადიკავკაზშიც ჩავიდა და ნაზრანშიც, სადაც ინგუშთა ეროვნული კრების თავმჯდომარეს, ჯაბაგიევს შეხვდა. ზექიმ განაცხადა, რომ თურქეთი მთიელებს ვერ დაეხმარება, მაგრამ მათ გერმანელები არ უნდა შემოუშვან. ის მოლებს შორის ეწეოდა ჩვენ საწინააღმდეგო აგიტაციას. მისივე მეცადინეობით, ორი დღის შემდეგ სადგურ „ყაზბეგში" ჩასულ გერმანელ და ავსტრიელ ოფიცრებს ცუდად დახვდნენ. ყველაფერი ტაპას დაბრალდა და გერმანული მისიისგან წერილები მივიღეთ. გერმანელები გვატყობინებდნენ, რომ ამ ინციდენტზე დამაკმაყოფილებელ რეაგირებამდე წყვეტდნენ ჩვენთან ურთიერთობას და კიევიდან შეპირებულ დახმარებასაც მანამდე არ უნდა ველოდოთ" (Письмо Коцева дипломатической делегации Союза горских народов Кавказа 12. 9. 1918. РФ ИИАЭ ДНЦ РАН). ამის შემდგომ კოცევმა არაერთხელ მოუხადა გერმანელებს ბოდიში და ამ ინციდენტში მთიელთა კავშირის მთავრობის უდანაშაულობასაც უმტკიცებდა. თუმცა თურქებმა, როგორც ჩანს, მიაღწიეს საწადელს. ყოველ შემთხვევაში, ხსენებული ინცინდენტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე ლეიტენანტი ფოლკი „თბილისში არსებულ ჩრდილოეთ კავკასიის ე.წ. მთავრობას" საკმაოდ უსიამოვნოდ იხსენიებს: „ჩვენ ვიცით, რომ ეს მთავრობა სრულიად თურქული წამოწყებაა. ის არ არის შექმნილი ჩრდილოეთ კავკასიის ტომების მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის განთავსებული იქნებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და გაათავისუფლებდა იქაურობას ბოლ-

შევიკებისგან. თურქების ეს ჩრდილოვანი მთავრობა ცდილობს, მიიღოს გერმანული სამხედრო მასალები და ფულადი დახმარება იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ჩრდილოეთ კავკასიაში თურქულ ექსპანსიას. სხვა დანარჩენი – სპექტაკლია" (Volck 1938, 194-195).

ფოლკი ივიწყებს, რომ თავად გერმანული პოლიტიკა უბიძგებდა მთიელებს თურქული დახმარების ძიებისაკენ და აცხადებს, რომ „ეს „ჩრდილოკავკასიური მთავრობა", რომელსაც გროზნოს ნავთობმაგნატი ჩერმოევი მეთაურობს, 10 მილიონ მარკადაა თურქების მიერ მოსყიდული და გერმანელთა წინააღმდეგ არის მომართული" (Volck 1938, 195).

მსგავს მტკიცებათა სისწორის ხარისხი კარგად მოწმდება კოცევის უკვე არაერთხელ ნახსენები წერილით, სადაც ვკითხულობთ, რომ თურქეთს უკვე 5 თვეა არანაირი დახმარება არ გამოუგზავნია მთიელებისათვის(Письмо Коцева дипломатической делегации Союза горских народов Кавказа 12. 9. 1918. РФ ИИАЭ ДНЦ РАН). კოცევის თქმით, ამის გამო ჩერმოევი და ჯაბაგიევი იძულებულნი გახდნენ, სესხისთვის აზერბაიჯანის მთავრობისთვის მიემართათ (Письмо Коцева дипломатической делегации Союза горских народов Кавказа 12. 9. 1918. РФ ИИАЭ ДНЦ РАН). არაპირდაპირი გზით, თავად ფოლკსაც უწევს თავის ბრალდებათა უსაფუძვლობის აღიარება: მისი თქმით, ჩერმოევის მთავრობა გენერალ ფონ კრესსენშტაინს უმტკიცებდა, რომ „გერმანია არ აქტიურობდა ბათუმის კონფერენციაზე აპრილ-მაისში. შესაბამისად, ჩვენთვის უბრალოდ უცნობი იყო, წარმოადგენდა თუ არა ჩრდილოეთ კავკასია რაიმე ღირებულებას გერმანიისათვის." „ჩვენ დროს ვჭიმავდით", – ასკვნის ფოლკი, – „თურქები კი – არა" (Volck 1938, 210)

1918 წლის სექტემბრით დათარიღებული ოფიციალური დოკუმენტებით, მთიელთა კავშირის მთავრობა ითხოვდა ოსმალეთის დახმარებას, მაგრამ არანაირი სურვილი არ ჰქონდა ოსმალური ბატონობის ქვეშ მოქცეულიყო.[5] ამას ადასტურებს ბამატიც, რომელიც შემდგომში 1918 წლის თურქულ-ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობებზე საუბრისას ამტკიცებდა, რომ მიუხედავად გარკვეული დახმარებისა, რომელიც თურქეთის ხელისუფლებამ აღმოუჩინა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირს, „თურქეთთან მეგობრული ურთიერთობები დასაწყისშივე განწირული იყო, რადგან მიზნები, რომლებსაც მისდევდნენ თურქული და კავკასიური მხარე, განსხვავდებოდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობას დამოუკიდებლობის დასაყრდენის მიღება სურდა და ლავირებდა თურქეთსა და გერმანიას შორის." იგი უფრთხოდა კონსტანტინეპოლის მთავრობის დამპყრობლურ მადას, რომელიც განსაკუთრებით ბაქოს აღების შემდგომ გაიზარდა (Archives du ministère des Affaires étrangères 1919).

გერმანია-თურქეთის 23 სექტემბრის ხელშეკრულება და სიტუაციის დროებითი სტაბილიზაცია კავკასიაში

მალე დაძაბულობა გერმანულ-თურქულ ურთიერთობებში შესუსტდა, რამაც თავის მხრივ შესაძლებელი გახადა ამ ორი სახელმწიფოს შეთანხმებული პოლიტიკის წარმართ-

5 Обращение правительства Союза горцев Северного Кавказа и Дагестана к горным чеченцам Аргунского округа. Тифлис, 12. 9. 1918. РФ ИИАЭ ДНЦ РАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 61. Л. 26; Официальное сообщение правительства Республики горских народов Кавказа о необоснованности слухов относительно желания правительства Оттоманской империи присоединить к ней территории горских народов Кавказа, опубликованное в № 25 газеты «Грузия» от 2 октября 1918 года. Тифлис, 30. 9. 1918.РФИИАЭДНЦРАН.Ф. 2. Оп. 1. Д. 61. Л. 14-14 об.

ვა ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებით. 23 სექტემბერს ბერლინში თალაათ-ფაშამ, ოსმალეთის იმპერიის დიდმა ვეზირმა (პრემიერ-მინისტრმა), გერმანული მხარის წარმომადგენლებთან ერთად ხელი მოაწერა საიდუმლო პროტოკოლს, რომელიც არეგულირებდა გერმანულ-თურქულ ურთიერთობებს კავკასიაში. თურქეთის ხელისუფლება თანხმდებოდა, გაეყვანა თავისი ჯარები აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. კომპენსაციის სახით სტამბოლმა მიიღო უფლება, ხელი შეეწყო ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოს შექმნისათვის. თურქები ასევე იღებდნენ ნავთობის წილს მათგან განთავისუფლებული ბაქოდან. ამავე დროს ომის დასასრულამდე გერმანიას ენიჭებოდა ბაქოს ნავთობის მრეწველობის, თბილისი-ბაქოს რკინიგზის და ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მართვის უფლება (Baumgart 1970, 98-99).

მოცემული შეთანხმების ფარგლებში შესაძლებელი გახდა ქართულ-აზერბაიჯანული რკინიგზით დაღესტნისა და ჩეჩნეთის გასათავისუფლებლად შექმნილი თურქული სამხედრო ნაწილების ჩრდილოეთ კავკასიაში გადასროლა. ჯერ კიდევ სექტემბრის პირველ ნახევარში ჩერმოევმა თბილისის მთავრობას მიმართა თხოვნით, თურქული ნაწილების საქართველოს რკინიგზითა და სამხედრო გზით გატარებაზე (Обращение Чермоева к правительству Грузинской республики Сентябрь 1918 г. РФ ИИАЭ ДНЦ РАН). კოცევის ცნობით, იარაღი ამ ექსპედიციისათვის გერმანიამ გამოყო იმ შეთანხმების ფარგლებში, რომელიც კოცევის უკრაინაში ვიზიტისას შედგა. ხსენებული იარაღი, რომელიც საკმარისი იყო ერთი ბრიგადის დაკომპლექტებისათვის, უკრაინიდან ფოთში გამოიგზავნა (Kosok, 1956, 51). თავად დაღესტანში გასაგზავნი ჯარების შემადგენლობაში, რომელსაც ჩერქეზული წარმომავლობის თურქი გენერალი იუსუფ იზეთ-ფაშა ხელმძღვანელობდა, შედიოდა 1500 თურქი რეგულარული ჯარისკაცი, დაღესტნელების დიდი რაოდენობა ყოფილი „ველური დივიზიიდან“ და დაახლოებით 2000 ნახევრადგაწვრთნილი აზერბაიჯანელი ქვეითი (Zürrer 1978, 51).

თურქულ-ჩრდილოკავკასიური სამხედრო ფორმირებების დაღესტანში სწრაფი გადასროლის შედეგად 9 ოქტომბერს მათ მიერ დაკავებულ იქნა დერბენტი, 23 ოქტომბერს კი – თემირ-ხან-შურა: „ამ უკანასკნელის დაკავების შემდეგ, კავკასიის მთიელ ხალხთა რესპუბლიკის მთავრობა გადავიდა თავის მეორე დედაქალაქში – თემირ-ხან-შურაში – სადაც საზეიმოდ აღიმართა მთიელთა კავშირის ეროვნული დროშა“, – ატყობინებდა საქართველოს ხელისუფლებას კოცევი (Письмо Коцева министру Чхенкели 16. 11. 1918. BDIC. Microfilms des archives du gouvernement géorgien). 7 ნოემბერს თურქ-მთიელთა დანაყოფებმა ბრძოლით აიღეს პეტროვსკი, საიდანაც განდევნეს ინგლისელებთან კავშირში მყოფი პოლკოვნიკ ლაზარ ბიჩერახოვის კაზაკებისგან და სომხებისგან შემდგარი რაზმი, რის შემდეგაც დაღესტნისა და ჩეჩნეთის მთელი ტერიტორია მთიელთა ხელისუფლების კონტროლქვეშ აღმოჩნდა (Jabagi 1991, 124-125).

ამგვარად, პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, მთიელთა ხელისუფლება მთლიანობაში აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთს, დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ჩათვლით. ესმოდა რა კავკასიაში სოლიდარული ურთიერთობების განვითარების აუცილებლობა, მთიელთა კავშირის მთავრობა მზად იყო, შუამავლობა გაეწია თბილისსა და ერევნას შორის, დეკემბერში მომხდარი ქართულ-სომხური შეიარაღებული კონფლიქტის გამო (Письмо Коцева министру Чхенкели 26. 12. 1918. BDIC. Microfilms des archives du gouvernement géorgien).იხსენებდა რა 10 წლის შემდეგ 1918 წლის დრამატულ მოვლენებს კავკასიაში, ჰაიდარ ბამატი მართებულად აღნიშნავდა, რომ რეგიონის ხალხთა

გაერთიანების მცდელობები უშედეგოდ დასრულდა მთელი რიგი გარე და შიდა ფაქტორების გამო: „სამწუხაროდ, ამიერკავკასიის ხალხებს შორის ურთიერთობები უკიდურესად დაძაბული იყო. გერმანელები და თურქები, რომლებიც ცდილობდნენ დომინირება მოეპოვებინათ ამიერკავკასიაში, ცუდად ეგუებოდნენ ერთმანეთს. პირველნი ეყრდნობოდნენ ქართველებს, მეორენი კი აზერბაიჯანელებს, რაც ნაციონალისტური ვნებებისა და ურთიერთუნდობლობის ატმოსფეროს უწყობდა ხელს და არ აიოლებდა მუშაობას ხალხთა შორის დაახლოებისა და შეთანხმებისათვის" (Bammate, 1929, 40).

1918 წლის მაისში ამიერკავკასის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლამ ტრაგიკული შედეგები იქონია როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიის ხალხებისთვის. ამით დაირღვა ის ძირითადი ბაზა, რაც უნდა გამხდარიყო მტკიცე საფუძველი შემდგომი რეგიონალური ინტეგრაციისათვის. ინტეგრაციისთვის, რომელიც აუცილებელი იყო კავკასიელ ხალხთა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. მით უმეტეს, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მათ თავზე დამოკლეს მახვილივით აღიმართა როგორც თეთრი, ისე წითელი რუსეთის საფრთხე.

თუმცა, როგორც ჩვენ მიერ შესწავლილი დოკუმენტები ადასტურებს, მოცემულ პერიოდში კავკასიელ ხალხთა პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები მუდმივად გამოდიოდნენ ერთიანი კონფედერაციული კავკასიის შექმნის ინიციატივით. როგორც ჩანს, ისინი უფრო მეტად მომზადებულნი და თანამიმდევრულნი აღმოჩნდნენ დამოუკიდებლობის ეკლიან გზაზე, ვიდრე მათ მმართველობაში მყოფი ხალხები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Afanasyan Serge. 1981.*L'Arménie, l'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du pouvoir soviétique* 1917-1923, Paris.
2. Allen William Edward David, Muratoff Paul.1953.*Caucasian Battlefields. A History of the Wars on the Turco-Caucasian Border* 1828-1921, Cambridge.
3. Авалов Зураб.1924. *Независимость Грузии в международной политике* 1918-1921 *гг.*, Париж.
4. Bammate Haidar.1929.*Le Caucase et la révolution russe*, Paris.
5. Baumgart Winfried.1966.*Deutsche Ostpolitik* 1918. *Von Brest-Litowsk bis zum Ende des Ersten Weltkrieges*, Wien und München, R. Oldenburg Verlag.
6. ----------1970. *Das „Kaspi-Unternehmen" – Größenwahn Ludendorffs oder Routineplanung des deutschen Generalstabs?Jahrbücher für Geschichte Osteuropas*, Wiesbaden, Bd. 18, H. 1.
7. **Bihl Wolfdieter.** 1992. *Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. Die Zeit der versuchten kaukasischen Staatlichkeit (*1917-1918*)*, Wien, Köln, Weimar, Teil II.
8. *Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии.*1919.Тифлис.

9. Dunsterville L.G. 2007. *The Adventures of Dunsterforce*, Uckfield, EastSussex.

10. Fischer Fritz. 1961.*GriffnachderWeltmacht. Die Kriegszielpolitik des kaiserlichen Deustchland* 1914/18, Düsseldorf.

11. გაბაშვილი რევაზ. 1959. რაც მახსოვს, მიუნხენი.

12. Гасанлы Джамиль. 2011. *Русская революция и Азербайджан. Трудный путь к независимости.* 1917-1920, Москва.

13. Hovannisian Richard Gaspari. 1967. *Armenia on the Road to Independence* 1918, Berkeley and Los Angeles.

14. Jabagi (Cabagi)V.-G.1991. Revolution and Civil War in the North Caucasus – End of the 19th – Beginning of the 20th Century, *Central Asian Survey*, Vol. 10, n° 1-2.

15. Kazemzadeh Firuz.1951.*The Struggle for Transcaucasia (*1917-1921*)*,NewYork.

16. Kosok P.1956. Revolution and Sovietization in the Northern Caucasus, *Caucasian Review*, Munich, N° 3.

17. Мустафа-заде Рахман. 2006.*Две Республики: Азербайджано-российские отношения в* 1918-1922 *гг*. Москва.

18. Mühlmann Carl. 1940. *Das deutsch-türkischeWaffenbündnis in Weltkriege*, Leipzig.

19. Османов А. И. 1994. *Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (*1917-1918 *гг.), Горская республика (*1918-1920 *гг.). Документы и материалы*, Махачкала.

20. Pomiankowski J. 1928.*Der Zusammenbruch des Ottomanischen Reiches*, Zürich, Leipzig, Wien.

21. SunyRonald Grigor. 1994. *The Making of the Georgian Nation*, Bloomington and Indianapolis.

22. Świetochowski Tadeusz. 1985. Russian Azerbaijan 1905-192, The shapingof national identity in a muslim community.Cambridge University Press.

23. Vašnadze D. (Fürst). Deutsche Blätter in der georgischen Geschichte. Erinnerungen des ehemaligen Bevollmächtigten der georgischen Regierung bei der Kaiserlich Deustchen Delegation im Kaukasus 1918. *Mitteilungen des Bundes der Asienkämpfer*, Berlin, 15 September 1930.

24. Volck H. 1938. *Öl und Mohammed. „Der Offizier Hindenburgs" im Kaukasus*, Breslau,

25. Zürrer W.1978. *Kaukasien* 1918-1921. *Der Kampf der Großmächte um die Landbrücke zwischen Schwarzem und Kaspischem Meer,* Düsseldorf.

საარქივო მონაცემები

1. Arrangement provisoire pour le règlement temporaire des rapports entre l'Allemagne et la Géorgie. Poti, 28. 5. 1918. *Mémoire sur les rapports des Républiques Transcaucasienne et Géorgienne avec la Turquie et l'Allemagne à propos de l'effondrement du front russe*. A titre de manuscrit, p. 21. (გ. მამულიას პირადი არქივი).
2. Bammatoff Haidar (chef de la délégation République Nord-caucasienne pour les négociations avec les quatre Puissances Alliées), Au président de la délégation de la République Transcaucasienne, ministre Tchenkelli. Batoum, 20. 5. 1918. ArchivesfamilialesdeM. Bammate.
3. Le Caucase et particulièrement le Caucase du Nord depuis la fin de l'ancien régime en Russie. Paris, mai 1919. Archives du ministère des Affaires étrangères (შემდგომ – AMAE),(Paris, France). Correspondance politique et commerciale (შემდგომ – CPC) 1918-1940. Série E (Levant). Caucase-Kurdistan, dossier n°4, Fol. 188-225
4. Декларация об объявлении независимости Союза горцев Северного Кавказа и Дагестана, May 11, 1918, ArchivesfamilialesdeN. Badoual-Keresselidzé.
5. Договор между правительством Грузинской республики и правительством Союза горцев Северного Кавказа и Дагестана о пропуске транзитных грузов через грузинскую территорию и закупке на Северном Кавказе кукурузы. [Тифлис], 11. 8. 1918. Bibliothèque de documentation internationale contemporaine (Nanterre) (შემდგომ– BDIC). Microfilms des archives du gouvernement géorgien, mfm 881, bobine 26.
6. Дополнительный договор к договору дружбы между императорским оттоманским правительством и правительством объединенных горцев Кавказа. Батуми, 8. 6. 1918. Le Centre d'études des mondes russe, caucasien et centre-européen (**CERCEC**). L'école des hautes études en sciences sociales (EHESS, Paris). Archives d'Ali Mardan-bey Toptchibachi, carton n° 3.
7. Général O. von Lossov (chef de la délégation allemande pour les négociations de paix avec le Caucase), A H. Bammatoff, délégué de la République fédérative du Caucase du Nord et du Daghestan. Batoum, 20. 5. 1918. Archives familiales de M. Bammate.
8. Обращение правительства Союза горцев Северного Кавказа и Дагестана к горным чеченцам Аргунского округа. Тифлис, 12. 9. 1918. РФ ИИАЭ ДНЦ РАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 61. Л. 26; Официальное сообщение правительства Республики горских народов Кавказа о необоснованности слухов относительно желания правительства Оттоманской империи присоединить к ней территории горских народов Кавказа, опубликованное в № 25 газеты «Грузия» от 2 октября 1918 года. Тифлис, 30. 9. 1918. РФ ИИАЭ ДНЦ РАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 61. Л. 14-14 об.
9. Обращение председателя правительства Союза горцев Северного Кавказа и Дагестана А. М. Чермоева к правительству Грузинской республики относительно транспортировки по грузинской железной дороге следующих на Северный Кавказ

турецких войск. Сентябрь 1918 г. РФ ИИАЭ ДНЦ РАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 61. Л. 31.

10. Письмо председателя делегации Союза горцев Северного Кавказа и Дагестана Г. Баммата председателю делегации Закавказской республики А. Чхенкели относительно допуска представителей Северного Кавказа к участию в работе Батумской конференции. Батуми, 8. 5. 1918. Archives familiales de N. Badoual-Keresselidzé (Aix-en-Provence, France).

11. Письмо председателя делегации Союза горцев Северного Кавказа и Дагестана Г. Баммата председателю делегации Закавказской республики А. Чхенкели относительно допуска представителей Северного Кавказа к участию в работе Батумской конференции. Батуми, 8. 5. 1918. Archives familiales de N. Badoual-Keresselidzé (Aix-en-Provence, France).

12. Письмо председателя германской делегации на Батумской мирной конференции генерала О. фон Лоссова председателю делегации Закавказской республики А. Чхенкели относительно участия представителей Северного Кавказа и Дагестана в упомянутой конференции. Батуми, 10. 5. 1918.

13. Письмо председателя горской делегации Г. Баммата председателю оттоманской делегации Халил-бею с просьбой информировать его относительно реализации обещаний, данных представителями Оттоманской империи представителям Союза горцев Северного Кавказа и Дагестана. Батуми, 19. 5. 1918. ArchivesfamilialesdeM. Bammate

14. Письмо министра иностранных дел Союза горцев Северного Кавказа и Дагестана Г. Баммата дипломатическому агенту Германской империи на Кавказе графу Ф. В. фон дер Шуленбургу относительно транспортировки по грузинской железной дороге следующих на Северный Кавказ турецких войск. Тифлис,14. 6. 1918. Рукописный фонд института истории, археологии и этнографии Дагестанского научного центра Российской академии наук (РФ ИИАЭ ДНЦ РАН). Ф. 2. Оп. 1. Д. 61. Л. 47.

15. Письмо дипломатического агента Германской империи на Кавказе графа Ф. В. фон дер Шуленбурга министру иностранных дел Союза горцев Северного Кавказа и Дагестана Г. Баммату относительно транспортировки по грузинской железной дороге следующих на Северный Кавказ турецких войск. Тифлис, 15. 6. 1918. РФИИАЭДНЦРАН. Ф. 2. Оп. 1. Д. 69. Л. 195.

16. Письмо вице-председателя правительства Союза горцев Северного Кавказа и Дагестана П. Коцева дипломатической делегации Союза горских народов Кавказа относительно своей поездки на Украину, Дон и Кубань, политики Германии и Турции в отношении Союза горцев, а также событиях на Северном Кавказе. Тифлис, 12. 9. 1918. РФ ИИАЭ ДНЦ РАН.Ф. 2. Оп. 1. Д. 58. Л. 81-87.

17. Письмо вице-председателя правительства Союза горцев Северного Кавказа и Дагестана П. Коцева министру иностранных дел Грузинской Республики А. Чхенкели

относительно восстановления власти горского правительства на территории Дагестана. Тифлис, 16. 11. 1918. BDIC. Microfilms des archives du gouvernement géorgien, mfm 881, bobine 79.

18. Письмо председателя Совета министров и. и. д. министра иностранных дел Союза горцев Северного Кавказа и Дагестана П. Коцева министру иностранных дел Грузинской республики А. Чхенкели относительно предложения своего посредничества в деле урегулирования армяно-грузинского конфликта. Темир-Хан-Шура, 26. 12. 1918. BDIC. Microfilms des archives du gouvernement géorgien, mfm 881, bobine 25.

19. Владикавказ, 28. 2. 1918. Archives familiales de M. Bammate (Paris, France).

20. Заявление Г. Баммата на Трапезундской мирной конференции от имени горской делегации по поводу необходимости воссоединения Закавказья с Союзом горцев Северного Кавказа и Дагестана. Трапезунд, 14. 4. 1918. Центральный государственный архив Северной Осетии (შემდგომ – ЦГА СО). Ф. 5 с/р-9. Д. 11. Л. 50.

21. Заявление Г. Баммата на Трапезундской мирной конференции от имени горской делегации по поводу необходимости воссоединения Закавказья с Союзом горцев Северного Кавказа и Дагестана. Трапезунд, 14. 4. 1918. Центральныйгосударственны йархивСеверноймОсетии (далее – ЦГАСО). Ф. 5 с/р-9. Д. 11. Л. 50.